პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლომი

№203 (12 273)

29 აგვისტო ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 23:15. ისლანდია-საქართველო

# ჩრდილოური გამოცდა

**საქართველოს ნაკრების მატჩები ნელ-ნელა რთულდება: 21 აგვისტოს ლუქსემბურგი იოლად დავამარცხეთ, 25-ში ავსტრიას შინ ვაჯობეთ, დღეს ისლანდიასთან ვთამაშობთ, გუნდთან, რომელიც შინ ნებისმიერი მეტოქისთვის რთული ბარიერია. რამდენად მომზადებული ხვდება ჩვენი გუნდი ჩრდილოურ მატჩს, ამას ნაკრების მწვრთნელ კენ შილდსის ინტერვიუდან შევიტყობთ. ეს ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.**

- ავსტრიასთან თამაშისას დაცვა ზოგ ეპიზოდში ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. საკუთარ მოედანზე, საკუთარი ფანების წინ უფრო ყურადღებით, უფრო აგრესიულად და ჭკვიანურად უნდა ვითამაშოთ. სწრაფად უნდა გადავიდეთ კონტრშეტევაზე, ასე რომ, ისლანდიასთან გაცილებით მეტი ყურადღება გვმართებს დაცვაში და იმედი მაქვს, მატჩამდე დარჩენილ დროს ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

**- ისლანდიაში ვლადიმერ ბოისაც გეყოლებათ...**

- კი, ბოისა დიდი ძალაა და ვეცდებით, იგი მაქსიმალურად კარგად, ბოლომდე გამოვიყენოთ. ბოისას გარეშე და მასთან ერთად, საქართველო ორი, რადიკალურად განსხვავებული გუნდია.

**- სხვა ჯგუფებში მიმდინარე მოვლენებზე რას იტყვით?**

- იმ მატჩებს ვეცნობი, მაგრამ ჩვენს სავარაუდო მეტოქეებზე გადართვის დრო არ მაქვს. ამ ეტაპზე მთლიანად საქართველოს ნაკრების მიმდინარე მატჩებითა და ჩვენს უახლოესი მოწინააღმდეგეების შესნავლით ვართ დაკავებულნი.

**- ავსტრიასთან არაჩვეულებრივად ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა...**

- კი, მანუ კარგი იყო. რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი სამაინი ჩააგდო. ვეცდებით, იგი მაქსიმალურად დამდეგ ორ მატჩშიც დავტვირთოთ.

**- რას იტყვით ვიქტორ სანიკიძის თამაშზე?**

- მონდომებული ბიჭია და მომწონს, თუ როგორ მუშაობს ვარჯიშებზე, მაგრამ მეტი შეუძლია და ცხადია, მისგან მეტს ვითხოვთ.

**- ვახტანგ ნაცვლიშვილი?**

- კაპიტანი გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, გამოცდილი ფიგურაა.

9

# ფეხბურთის სიკვდილი შეუჩნდა

## გარდაიცვალა სევილიის ფეხბურთელი ანტონიო პუერტა

25 აგვისტო. სევილია-ხეტაფე. პირველი კოლაფსის შემდეგ, პუერტა მოედანს ტოვებს...

22 წლის ანტონიო პეურტას სიცოცხლე გუშინ, შუაევროპული დროით 14 საათსა და 30 წუთზე, სევილიის ვირხენ დელ როსიოს კლინიკაში შეწყდა...

ვრცლად 5

### გოლო პერიოდის საფეხბურთო ტრაგედიები

**უგო კუნია**

პორტუგალიური "ლეირიას" ნახევარმცველი. დაილუპა 2005 წლის ივნისში, მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაშის დროს. ის 28 წლის იყო.

**მარსელო დუშ სანტუში**

28 წლის ბრაზილიელი ფორვარდი გარდაიცვალა გულის შეტევით, მატჩის დროს, გოლის გატანიდან ერთი საათის შემდეგ.

**მიკლოშ ფეხერი**

უნგრეთის ნაკრებისა და "ბენფიკის" ფეხბურთელი. 24 წლის ასაკში დაილუპა გულის შეტევით, "ბენფიკა"-"გიმარაეშის" მატჩის დროს.

**მასიმილიანო ფერეირა**

ბრაზილიური "ბოტაფოგოს" ფორვარდი. დაილუპა 2003 წელს, ჰოსპიტალში, მას შემდეგ, რაც ვარჯიშის დროს თავი ცუდად იგრძნო. ის 20 წლის იყო.

**მარკ-ვივიან ფოე**

კამერუნელმა ნახევარმცველმა გონება დაკარგა კოლუმბიის ნაკრებთან მატჩის 73-ე წუთზე, 2003 წლის ივნისში, კონფედერაციის თასის შეხვედრის დროს. გარდაიცვალა მოედანზევე.

**დეივ ლონგპერსტი**

ინგლისური "იორკ სიტის" ფორვარდი, რომელიც 1990 წელს, "ლინკოლნთან" მატჩის დროს, პირველი ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კომაში ჩავარდა და დაილუპა. 25 წლის მოთამაშეს გულის იშვიათი დაავადება აღმოაჩნდა.

**სამუელ ოკვარაჯი**

დაილუპა 1989 წლის აგვისტოში. ნიგერიელ ფეხბურთელს გული გაუჩერდა ანგოლასთან მატჩის დასრულებიდან 10 წუთის შემდეგ.

**სერქინიო**

ბრაზილიური "სან კაეტანოს" მცველი დაილუპა 2004 წლის ოქტომბერში, "სან პაულოსთან" მატჩის დროს. დიაგნოზი: გულის უკმარისობა.

*გუშინ, ჩემპიონთა ლიგაში აეკ-სევილია არ გამართულა. გუშინვე გადაწყდა, რომ მილანი-სევილიის სასუპერთასო მატჩი პარასკევს მაინც შედგება...*

### გუშინვე...

**ინგლისის ლიგის თასზე, "ნოტინგემისა" და "ლესტერის" მატჩი შესვენების შემდეგ აღარ განახლებულა. საქმე ის გახლავთ, რომ "ლესტერის" მცველი კლაივ კლარკი გასახდელში უგონოდ დაეცა. ფეხბურთელი მყისვე ნოტინგემის სამეფო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. 27 წლის კლარკის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. კოლაფსის მიზეზი გვიან ღამემდე ცნობილი არ იყო...**

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com

გაზეთი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge




პეტარ სეგრტი

**გიორგი მერებაშვილი მეკარესთან პირისპირაა, მაგრამ ვერ გააქვს. მერე იგი საჯარიმოში წააცდინეს, მაგრამ პენალტს ტყუილად ითხოვენ ქართველები. ჯარიმის ჩაწოდებისას ლევან ყენიას მცველებმა ხელი ჰკრეს... არბიტრის კიდევ ერთი სუბიექტურობა მასსპინძელთა სასარგებლოდ. მატჩის ბოლოს ყენიას ჯარიმა მილმეტრებით სცდება მეტოქის კარს... ეს და სხვა ეპიზოდები პოლონეთ-საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩის ფრაგმენტებია, რომელიც ახალგაზრდულის თავკაცმა პეტარ სეგრტმა ფედერაციაში სტუმრობისას ვიდეოფირზე მაჩვენა. რაც მთავარია, მატჩის წინ "ჩენი ხატია სამშობლოს" ნაცვლად სტადიონზე აჟღერებული "დიდება"...**

**სეგრტს კრაკოვის მატჩსა და მომდევნო შეხვედრებზე გავესაუბრეთ.**

- ᲕᲘᲜᲪ კრაკოვში გამართული პოლონეთ-საქართველოს მატჩი ნახა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ თამაშში ჩვენი გუნდი ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.უფრო მეტიც, მთელ რიგ მომენტებში დავჯაბნეთ მეტოქე, მატჩის მერე მეტოქისგან ძალიან ბევრი კომპლიმენტიც მივიღეთ. თუმცა, სამწუხაროდ, ეს თამაშის საბოლოო შედეგში არ აისახა. კრაკოვში დანაკლისითა და გადახალისებული შემადგენლობით ჩავედით, ჩვენი 4–5 ფეხბურთელი მეტოქეზე ოთხი წლით უმცროსიც კი იყო. ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ჩვენი ბიჭები არ დანებდნენ მეტოქეს და ბოლომდე იბრძოლეს. გატანილი ბურთის გარდა, კიდევ 3-4 კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ მეტის გატანა ვეღარ მოვახერხეთ. ჩვენმა გუნდმა ჩინებული კომბინაციური და გამართული თამაში აჩვენა, მაგრამ სამწუხაროდ, დამაგვირგვინებელ ფაზაში მოვიკოჭლებდით და ეს ასპექტი მატჩის საბოლოო შედეგშიც აისახა... იყო სხვა მიზეზებიც...

**- არბიტრის სუბიექტურობას გულისხმობთ?**

- მსაჯზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ ამ მსაჯმა უკვე მეორედ "დახვრიტა საქართველო". ჯერ იყო და ელიტრაუნდში 19 წლამდელთა ნაკრები ბულგარეთთან აშკარად დაჩაგრა, ამჯერად კი მის სუბიექტურობას ჩვენი გუნდი ვერ ასცდა. გარდა ამისა, მატჩის წინ საქართველოს სხვა, ძველი ჰიმნი დაუკრეს (მიუხედავად იმისა, რომ ახალი ჰიმნის დისკი მივეცით), რამაც ფეხბურთელები გაანერვიულა.

ერთი სიტყვით, პოლონელებს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს, ჩვენ კი შესაძლებლობები დავკარგეთ და ამის გამო დავმარცხდით. ერთადერთი, რის გამოც გუნდმა ჩემი შენიშვნა დაიმსახურა, ისაა, რომ ნაკრები პირველიდან ბოლო წუთამდე უნდა თამაშობდეს და ბრძოლას მე-15 მე-20 წუთიდან არ უნდა იწყებდეს.

**- პოლონეთთან რამდენიმე უმცროსი ასაკის ფეხბურთელი ათამაშეთ. მივიჩნიოთ, რომ გუნდის გაახალგაზრდავება დაიწყეთ?**

- ჩვენს ნაკრებში ნელ-ნელა ახალი თაობა მოდის და, რაც მთავარია, ეს ბიჭები კარგ ფეხბურთს თამაშობენ. მომავალი შესარჩევისთვის უკვე გვყავს 11-14 ფეხბურთელი, რომლებიც ასაკით უფროსებთან თამაშობენ და აქედანვე იღებენ გამოცდილებას. მაკარიძე, ყენია, სანაია, ხიდეშელი, გოცირიძე... ეს ის ფეხბუთელები არიან, რომელთაც 21-წლამდელთა ნაკრებში მომდევნო შესარჩევ ციკლშიც მოუწევთ თამაში. ამ კონტინგენტს დაემატებიან ბჟალავა, ბარაბაძე, თევდორაძე... პროცესს არ შევაჩერებ და ახალგაზრდული ნაკრებისთვის, პარარელურად, მომავალ თაობასაც ვამზადებ. მართალია, ისინი ასაკით უმცროსები არიან, მაგრამ ეს ხვალინდელი დღეა და ფსონს მათზე ვაკეთებ.

**- პოლონეთის დარად, ესპანეთთანაც კარგი თამაში ვაჩვენეთ, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ორივე ჯერ მარცხი ვიწვნიეთ. ამას რით ახსნით?**

- დიახ, სამწუხაროდ, ასეა. ვფიქრობ, ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ გუნდში არაა გამარჯვებულის მენტალიტეტი. ფეხბურთელებს არ შეუძლიათ საკუთარ თავს უთხრან, რომ შეგვიძლია შინ ესპანეთისა და სტუმრად პოლონეთის დამარცხება. ბიჭებს გამარჯვებისა არ სჯერათ და ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც უნდა მოვაგვაროთ. გარდა იმისა, რომ გუნდს საფეხბურთო თვალსაზრისით ვამზადებ, ფსიქოლოგიურად ბევრი გვაქვს სამუშაო. ფეხბურთელებმა უნდა ირწმუნონ საკუთარი ძალების. უნდა სჯეროდეთ, რომ მათ შეუძლიათ ამისი გაკეთება. ოთარ გაბელია, სერგო კოტრიკაძე, გრიგოლ ცაავა, გელა შეყილაძე პოლონეთში ჩვენთან ერთად იყვნენ და გუნდის მენტალურად მომზადებაში ისინიც ჩართულები იყვნენ. რაც პოლონეთიდან დავბრუნდი, ხუთი დღეა არ მძინავს. იმაზე ვნერვიულობ და ვფიქრობ, თუ როგორ წავაგეთ ეს თამაში. ფეხბურთელები მოედანზე მოსაგებად უნდა გავიდნენ და ეს კარგად უნდა გაითავისონ. გამარჯვებულის მენტალიტეტი თუ გაქვს და გჯერა საკუთარი ძალების, მაშინ შენთვის სულერთია, ვის ეთამაშები.

პოლონეთში ათი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ ამას ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებს. ჩემთვის მთავარია, თუ როგორ ითამაშებს ის კონტინგენტი, რომელიც იმ ეტაპისთვის მყავს. ამ კონტინგენტს კარგი თამაში ნამდვილად შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ 10 ფეხბურთელი, მთელი ერთი გუნდი გვაკლდა, ამ შემადგენლობამ მაინც კარგად ითამაშა და პრობლემები რომ არ გვქონოდა, კრაკოვში მინიმუმ, არ წავაგებდით. ნაკრებში ისეთ ფეხბურთელს არ გამოვიძახებ, რომელიც მზად არაა, თავი გადადოს. ძნელია, ამ ახალგაზრდული ნაკრებით შედეგიანად იასპარეზო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ შედეგზე არ ვმუშაობთ. ეროვნულისთვის ფეხბურთელების გაზრდაზეც არანაკლებ ვზრუნავთ. სამწუხაროდ, ფეხბურთელებს კლუბებში სათამაშო პრაქტიკა აკლიათ და ამ პრობლემის მოგვარებაც გვიწევს.

**- ნაკრების ფეხბურთელების კლუბებში უთამაშებლობა მართლაც რომ დიდი პრობლემაა...**

- სამწუხაროდ, ასეა. ლობჟანიძე უთამაშებელია, ისევე როგორც სანაია, ხიდეშელი... მიუხედავად ამისა, ეს ბიჭები გამოდიან და ნაკრებში ნაღდ ფეხბურთს აჩვენებენ. ბენაშვილზეც ძალიან გულდაწყვეტილი . ის დიდი ტალანტია, მაგრამ აქვს საყოფაცხოვრებო პრობლემები, არ ჰყავს დედ-მამა, არ შემიძლია მას ხელი ვკრა და ის ყოველთვის იქნება ჩემი თვალთახედვის არეში, რადგან მასში იმ პოტენციალს ვხედავ, რომელიც ნაკრებებში აუცილებლად გამოგვადგება. თუმცა, აქ მეორე პრობლემაა, არ შემიძლია, რომ ბენაშვილის დარად კიდევ სხვა უთამაშებელი ფეხბურთელები გამოვიძახო ნაკრებში. გუნდს ასეთი ხალხით ვერ დავაკომპლექტებ და კლუბებმაც უნდა მიხედონ სანაკრებო მოთამაშეებს. სწორედ ამიტომ კლუბებთან უნდა დავილაპარაკოთ. მათ უნდა გაიგონ, რომ ამ ფეხბურთელების უთამაშებლობა კლუბებსაც აზარალებს და ნაკრებებსაც. მოკლე ხანში კლუბებთან ეს შეხვედრა უნდა მოვაწყოთ და მემორანდუმი გავაფორმოთ, რომელიც ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება.

ჩემთვის ძალიან ძნელია, ფეხბურთელი გავაკრიტიკო. თუმცა, მოთამაშეებს კრიტიკას ნამდვილად არ ვაკლებ. მერე კი ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე, ფეხბურთელი კი გავაკრიტიკე, მივუთითე, თუ რაზე უნდა იმუშაოს, მაგრამ კლუბში უთამაშებელია და ესა თუ ის ნაკლი როგორ უნდა გამოასწოროს?

**- ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ, კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრების გაახალგაზრდავება გადაწყვიტა. როგორც გაჟღერდა, ეროვნული გუნდის რამდენიმე მოთამაშეს ნაკრებში აღარ გამოიძახებენ. მათ ნაცვლად კი ახალი სახეები გამოჩნდებიან. ეს მოთამაშეები, რომლებიც 21-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან...**

- იმედია, გამიგებთ და არ მიწყენთ. ეროვნული ნაკრების თემას შეგნებულად გვერდს ავუვლი. არ მინდა კლაუს ტოპმიოლერის საქმეში ჩავერიო. ბოლო დღეებში მასთან არაერთი საუბარი მქონდა და ვითარება დეტალურად ამიხსნა. მისთვის რამდენიმე ფეხბურთელი მართლაც მყავს შეგულებული. 7 და 11 სექტემბერს ყაზახეთთან და ესპანთთან გვაქვს მატჩები. კარგად მესმის ამ თამაშების მნიშვნელობა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ საქართველო-უკრაინის ეროვნული ნაკრებების მატჩი გაცილებით მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ამ თამაშებისთვის შეკრებაზე 21-წლამდელთა ასაკის ბევრ ფეხბურთელს გამოვიძახებთ. მე და კლაუსი ერთობლივად ვიმუშავებთ, ერთად დავაკვირდებით და უკვე თავად ტოპმიოლერი გადაწყვეტს, თუ ვის უხმოს ეროვნულ ნაკრებში.

**- ჩვენი ინფორმაციით, საუბარია ღვინიანიძის, ფოფხაძის, მერებაშვილის, კობახიძის გამოძახებაზე. განიხილება სანდრო იაშვილის ვარიანტიც...**

- (იცინის) მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ აქედან ყველა კარგი ფეხბურთელია.

**დავით ᲪᲐᲑᲐᲫᲔ**

21-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ �პᲔᲢᲐᲠ ᲡᲔᲒᲠᲢᲗᲐᲜ

# ᲭᲝᲞᲛᲘᲝᲚᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ...

## ᲕᲘᲜ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲡᲔᲒᲠᲢᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲨᲘ?

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ

**ᲛᲒᲚᲔᲑᲘ-ᲡᲐᲛᲒᲠᲔᲚᲘᲐ**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ: 2:0
29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ

**ᲓᲣᲨᲔᲗᲘ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ: 2:3
29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ

**ᲭᲝᲠᲪᲔᲚᲝ-ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ**

29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ
(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ,
ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ 5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ)

ᲡᲢᲠᲘᲢᲑᲝᲚᲘ

# ᲘᲛᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲜᲩᲘᲚᲐ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ, ᲡᲢᲠᲘᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ:

**ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲘ-ᲘᲛᲔᲓᲘ 3:7**

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: **ბ. ᲑᲔᲠᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ა. ᲚᲔᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ, გ. ᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲘ), რ. ᲡᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ი. ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 4, გ. ᲚᲝᲥᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲚᲘ 2.**

**ᲐᲚᲒᲔᲗᲘ-ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘ 5:6**

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: **გ. ᲮᲐᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ 3, დ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ 2 (ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲚᲒᲔᲗᲘ), დ. ᲛᲐᲙᲐᲠᲐᲫᲔ 3, გ. ᲞᲐᲞᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 3 (ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘ).**

**ᲜᲝᲠᲘᲝ-ᲒᲘᲕᲘ 8:1**

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: **ა. ᲧᲣᲠᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2, ნ. ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 4, გ. ᲙᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, გ. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ (ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲝᲠᲘᲝ), ნ. ᲓᲕᲐᲚᲘ.**

**ᲧᲕᲘᲜᲩᲘᲚᲐ-ᲛᲒᲚᲔᲑᲘ 19:0**

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: **ლ. ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, დ. ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲘ 2, ვ. ᲛᲐᲠᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2, მ. ᲒᲘᲝᲠᲑᲔᲚᲘᲫᲔ, ა. ᲛᲔᲡᲮᲘ 10, თ. ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲐ 3.**

ᲝᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ 6-6 ᲥᲣᲚᲐ ᲐᲥᲕᲗ "ᲘᲛᲔᲓᲡᲐ" ᲓᲐ "ᲧᲕᲘᲜᲩᲘᲚᲐᲡ".

A ᲯᲒᲣᲤᲘ: **1. ᲘᲛᲔᲓᲘ, 2. ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘ, 3. ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲘ, 4. ᲐᲚᲒᲔᲗᲘ.**

B ᲯᲒᲣᲤᲘ: **1. ᲧᲕᲘᲜᲩᲘᲚᲐ, 2. ᲜᲝᲠᲘᲝ, 3. ᲛᲒᲚᲔᲑᲘ, 4. ᲒᲘᲕᲘ.**

ᲓᲦᲔᲡ, 29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲐ:

**ᲐᲚᲒᲔᲗᲘ-ᲘᲛᲔᲓᲘ**
**ᲜᲝᲠᲘᲝ-ᲛᲒᲚᲔᲑᲘ**
**ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲘ-ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘ**
**ᲧᲕᲘᲜᲩᲘᲚᲐ-ᲒᲘᲕᲘ**

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ**



www.kazbegi.com

გაზეთი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლევან ყენია

პორტრეტი

## ყენიას 99%

**თავისი გამონათებები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსაც აქვს. რომ არა ეს, ქართული გუნდების მატჩებზე არც არავინ ივლიდა. ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მაღალლუქსიანი გამონათება კი16 წლის ლევან ყენიაა.**

**წავიდეთ "ლოკომოტივის" თამაშზე და ყენიას ვუყუროთ - ეტყვის ხოლმე ქომაგი ქომაგს და ასე ქუჩდება რამდენიმე ათეული, ხანდახან ასეული გულშემატკივარი ეროვნულ ჩემპიონატის იმ მატჩზე, რომელშიც თბილისის "ლოკომოტივი" თამაშობს.**

ჩემპიონატის მომდევნო შეხვედრა "ლოკომოტივს" 31 აგვისტოს აქვს ზესტაფონში, მაგრამ შესაძლოა, ყენიამ იქ აღარ ითამაშოს. იგი გერმანიის ვიზას ელის, რათა გელზენკირხენში წავიდეს და "შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში ჩაირიცხოს.

წინა სეზონში ყენია ჩემპიონატის აღმოჩენად დასახელდა პროფლიგის მიერ ჩატარებულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში. ლევანი შარშან 17 წლამდელთა ნაკრებში აიყვანეს, ახლა კი უკვე ახალგაზრდულშია და ჩვენ ნაკრებთა გერმანელი მწვრთნელები მასში ისეთ ტალანტს ხედავენ, დიდი ფეხბურთის თამაში რომ შეუძლია.

*"სკოლაში მე-7 კლასამდე ვიყავი და მერე სწავლას თავი დავანებე. ფეხბურთი და სკოლა ერთად არ გამოდიოდა, ძალიან ვიღლებოდი და გადაწყვეტილება ფეხბურთის სასარგებლოდ მივიღე. ფეხბურთელობა ძალიან მინდოდა და უკვე მაშინ მქონდა იმის რწმენა, რომ ამას შევძლებდი."*

ლევანი **გიორგი კიკნაძის** დისშვილია, თბილისის "დინამოს", "ფრაიბურგისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი შუახაზელის. კიკნაძე წინა სეზონის მიწურულს შეიქნა "ლოკომოტივის" მწვრთნელი და ახლაც ამ გუნდს თავკაცობს. თუმცა ყენიას ბიძამისი მანამდეც ავარჯიშებდა და გადაწყვეტილების მიღებაშიც ეხმარებოდა.

*"როცა ფეხბურთზე დავდიოდი, ბიძაჩემი ჩემი მეორე მწვრთნელი იყო. ვარჯიშიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩემი მწვრთნელი უკვე ის გახლდათ, ხშირად მაძლევდა რჩევებს. მას უკვე დანებებული ჰქონდა თავი ფეხბურთისთვის. როცა ფეხბურთის გამო სწავლისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, ის ჩემს გადაწყვეტილებას ეთანხმებოდა და მხარს მიჭერდა."*

და რა იყო კიკნაძის უმთავრესი რჩევა თინეიჯერი დისშვილისთვის?

*"თუ როგორ უნდა მოიქცეს ფეხბურთელი მოედნის მიღმა. დაიცავი რეჟიმი, კარგად დაისვენე და ძირითადად სულ ფეხბურთზე იფიქრე - ასეთი იყო მისი რჩევა და მეც არ მიჭირს ასე ცხოვრება. თერთმეტი წელიაწადია, ფეხბურთს ვთამაშობ და ასეთი რიტმით ვცხოვრობ."*

ლევანმა გვითხრა, რომ გერმანულ ვიზას დაახლოებით ერთ კვირაში აიღებს და "შალკეში" მისული გელზენკირხენში იცხოვრებს კლუბის ბაზაზე. მან საყველპურო გერმანული უკვე იცის და ენობრივი ბარიერი, ფაქტობრივად, არ შეაწუხებს. ის ბევრად უკეთეს კლუბში, ბევრად უკვეთეს პირობებსა და ბევრად უკეთეს ქვეყანაში მოხვდება. შესაბამისად, ბევრად უკეთესი შანსი ექნება წინსვლისთვის, თუმც წინასწარ ალბათ რთულია იმის განჭვრეტა, როგორ შეეგუება 16 წლის ფეხბურთელი იქაურობას.

*"ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო უცხო ქვეყანაში მშობლებისა და მეგობრების გარეშე. მაგრამ ჩემი გერმანიაში წასვლა საქმეს სჭირდება და რადგან ეს საქმე დავიწყე, ბოლომდე უნდა მივიყვანო."*

ჩია აღნაგობისა და სხარტი, ტექნიკური და გონიერი, შეუპოვარი და ლამაზად მოთამაშე - ცაცია ფლეიმეიქერი ყენია თითქოს უნაკლოა და თუ მარჯვენა ფეხს მარცხენასავით ვერ იქნევს, ეს ალბათ დიდი დაბრკოლება არც არის მისთვის.

*"ვცადე მრავალჯერ ფეხით თამაშის გაუმჯობესება, მაგრამ ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები არ მაქვს. ზოგადად, თუ თანამედროვე ფეხბურთში ორივე ფეხით თითქმის თანაბრად ვერ ითამაშებ, სერიოზულ ნაკლად ითვლება, მაგრამ არა მგონია, რომ ამით რაღაც მაკლია."*

ყენია არც ძალისმიერ ორთაბრძოლებშია ჯაბანი მიუხედავად იმისა, რომ კუნთის მასა დიდი არ აქვს.

*"იმდენი ჯანი მაქვს, რომ უფროსებს ვეჭიდავო. ძალისმიერ ორთაბრძოლებს ტვინიც უნდა დააყოლო, ორთაბრძოლაში ისე არ უნდა შეხვიდე, როგორც ეს მეტოქეს სურს."*

ყენიას მიაჩნია, რომ ახლა ფეხბურთს ყველაზე კარგად **რონალდინიო** თამაშობს და **ლეონელ მესიც** ძალიან მოსწონს, თუმც ბარსელონისტი სულაც არ არის, გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერნის" თაყვანისმცემელია.

ლევანი 18 ოქტომბერს გახდება 17 წლის და თუ მისი საქმეები "შალკეში" კარგად წავიდა, ერთ წელიწადში სრულფასოვანი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებაც შეეძლება. ყენიას ჯერ მართვის მონმობის აღებაც არ შეუძლია, თუმც მანქანები ძალიან უყვარს და გვითხრა, როგორც კი პირველ პროფესიონალურ კონტრაქტს მოაწერს ხელს, მყისვე მანქანას შეიძენს, ალბათ BMW-ს

მანამდე კი ყენიას მოცდა მოუწევს, თავისი ნიჭის 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში დამტკიცება და 99 პროცენტის სრულად გამოყენება.

*"ფეხბურთი ჩემი ცხოვრების 99 პროცენტია, დანარჩენი ერთი პროცენტი კი ეზოში ჩასვლა და სუფთა ჰაერზე გასეირნებაა."*

**დავით თავართქილაძე**

უეფას თასი. რაპიდთან მატჩამდე. ინტერვიუ ლევან ხმალაძესთან

## ვენაში ფსიქოლოგიური წნეხი არ გვექნება

**ამ თუ იმ გუნდში შემტევი სტილის ფეხბურთელები, გოლის ავტორები, ანაც თანაავტორები ყველაზე მეტად ჩანან. ხოლო ის მოთამაშეები, რომლებიც უდიდეს შავ სამუშაოს ასრულებენ, ჩრდილში არიან. სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება "დინამოს" ნახევარმცველი ლევან ხმალაძე. ჩამშლელი ტიპის შუახაზელი მოედანზე ბევრს შრომობს, ხანდახან კი შეტევაშიც გამოირჩევა ხოლმე.**

**გავეცნოთ ლევან ხმალაძეს, ფეხბურთელს, რომელიც ბოლნისის "სიონში" ქვეყნის ჩემპიონი გახდა და "დინამოში" დაბრუნებული კვლავაც ოქროს მედლისთვის იბრძვის.**

- "რაპიდთან" მატჩისთვის ჩვეულებისამებრ ვემზადებით. სამწუხაროდ, შინ 0:3 წავაგეთ და ძნელია მომდევნო ეტაპზე გასვლაზე ფიქრი. ვენაში, საპასუხო შეხვედრაში, ყველანაირი დაძაბულობის გარეშე ვითამაშებთ. ასე რომ, ფსიქოლოგიური წნეხი უკვე ვეღარ დაგვაბრკოლებს. მოედანზე გავალთ, თავისუფლად ვითამაშებთ და ყველანაირად შევეცდებით, ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ.

**- მრისხანე "რაპიდთან" ამას შეძლებთ? მეტოქეს რამე სისუსტე თუ შეატყვე?**

- ავსტრიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ და ჩემპიონატშიც პირველ ადგილზე შემთხვევით არ არიან. ვენაში ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. რაც შეეხება მეტოქის სისუსტეს, ეს ყველა გუნდს აქვს, მაგრამ ძნელია "რაპიდს" სუსტი წერტილი მოუძებნო. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, ვენაში სწრაფი ფეხბურთი ვითამაშოთ მოკლე პასებით. დასაკარგი არაფერი გვაქვს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ.

**- დასაკარგი არაფერი გვაქვსო და წესით, ფსიქოლოგიურმა წნეხმაც არ უნდა შეგაწუხოთ...**

- დიახ, სწორედაც რომ ასეა. თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ვითამაშებთ და სასურველი შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

**- ფეხბურთელთა იმ კატეგორიას განეკუთვნები, რომლებიც მოედანზე დიდ სამუშაოს ასრულებენ, მაგრამ არ ჩანან...**

- ყველა ფეხბურთელს თავისი ფუნქცია აქვს მოედანზე. ჩამშლელი ვარ და მინდორზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. ჩემი აზრით, მთავარია, მოთამაშე გუნდს გამოადგეს და სარგებელი მოუტანოს და თუნდაც ჩრდილში იყოს. ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

**- ერთი ხანობა "სიონში" იყავი განათხოვრებული და ჩემპიონიც გახდი. უკვე მეორე სეზონია, "დინამოში" ხარ და საკუთარ თავს პროგრესს თუ ატყობ?**

- საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს. "სიონის" შემდეგ "დინამოში" სტაბილურად მიწევს თამაში და ვგრძნობ, რომ მოვუმატე კიდეც. მწვრთნელები მენდობიან, ეს კი ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს. პროგრესი გუნდსაც აშკარად ეტყობა, გასული სეზონის მეორე ნახევარში თასზე წავაგეთ, ჩემპიონატში კი ორი ფრე ვითამაშეთ და დანარჩენი ყველა მოვიგეთ. "დინამომ" აშკარად მოუმატა, მაგრამ ვფიქრობ, ეს არაა ჩვენი მაქსიმუმი და კიდევ მეტი შეგვიძლია.

**- "დინამო" რა მიზნისთვის იბრძოლებს?**

- ჩვენი გუნდის მიზანი ყოველთვის ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაა. სამწუხაროდ, გასულ სეზონში ვერც ერთი ტიტული ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ მჯერა, მიმდინარე ჩემპიონატში ორივე ეს ტროფეი ჩვენი იქნება.

**- ამის თქმის საფუძველს რა გაძლევს?**

- ჯერ ერთი, ჩვენი გუნდის რეალური ძალა კარგად ვიცი. გარდა ამისა, მეტოქეებმა ქულები დაკარგეს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, "დინამო" ბოლო სეზონებია, ჩემპიონი არ გამხდარა და ეს უცილობლად უნდა შევძლოთ.

**- ოქროსთვის ბრძოლაში კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

- ისევ "ოლიმპს", "ზესტაფონს", "ამერსა" და "ვიტ ჯორჯიას". თუმცა, ვფიქრობ, ამ მეტოქეებზე უკეთესი შემადგენლობა ჩვენ გვყავს.

**- შესაძლოა, უკვე მომდევნო ტურში "მიხეილ მესხის" არენის ნაცვლად ეროვნულ სტადიონზე მოგიწიოთ საშინაო მატჩების გამართვა. სტადიონის შეცვლა გუნდზე რამდენად იმოქმედებს?**

- ვფიქრობ, ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმული იქნება. ჯერ ერთი, ეს სტადიონი ტრადიციულად, სწორედ "დინამოს" საშინაო არენა იყო. კარგია, რომ ეს ტრადიცია აღდგება. მართალია, არენის შეცვლა მოგვიწევს, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე თამაშსაც გავიხსენებთ. სხვა თუ არაფერი, ჩვენთვის დიდი პატივია იმ სტადიონზე თამაში, რომელზეც ეროვნული ნაკრები ასპარეზობს.

**დავით ცაბაძე**

ლევან ხმალაძე

CDN კავკასიის სიფრცე ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭვლეტლად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# გადაწყვეტილია: სანაია და ფანცხავა სამი წლით

## კონტრაქტი დღეს გაფორმდება

ვახტანგ ფანცხავა და ამირან სანაია

როგორც წინა ნომერში გაუწყეთ, საფრანგეთის პირველ (უმაღლეს) დივიზიონში მოასპარეზე "ლე მანთან" ორი ქართველი ფეხბურთელი გააფორმებს კონტრაქტს. "ზესტაფონის" ნახევარმცველ **ამირან სანაიასა** და "გაგრას" ფორვარდ **ვახტანგ ფანცხავას** ფრანგულ გუნდში გადასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. როგორც თავად ფეხბურთელებმა გვითხრეს, კონტრაქტი დღეს გაფორმდება. მოთამაშეთა თქმით, ისინი მთავარ გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და დუბლებში ითამაშებენ.

რაც შეეხება "ლე მანს", ამ გუნდმა გასული სეზონის საბოლოო ცხრილში მე-12 ადგილი დაიკავა. მიმდინარე ჩემპიონატში "ლე მანი" მე-6 ადგილზეა, თუმცა წინა სამი გუნდის დარად, 10 ქულა აქვს და მხოლოდ ბურთების უარესი ბალანსის გამოა მე-6 საფეხურზე. გუნდის მთავარი მწვრთნელი **რუდი გარსიაა,** "ლე მანი" მორიგი ტურის მატჩში დღეს პსჟ-ს უმასპინძლებს.

სანაია და ფანცხავა გუშინ, ნაშუადღევს, ფრანკფურტის გავლით გაეგზავნენ საფრანგეთში. დღეს კი ეს ფეხბურთელები ხელშეკრულებებს გააფორმებენ და კლუბშიც წარადგენენ.

საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ პოტენციური ლეგიონერები მომავალ კლუბსა და კარიერაზე.

*"ლე მანში" შესაძლო გადასვლის ამბავი სამი კვირის წინათ გავიგე. ამ კლუბის სკაუტებმა პორტუგალიაში, თებერვალში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ნახეს ჩემი და ფანცხავას თამაში. იმ ტურნირზე მეორე ადგილი დავიკავეთ. სწორედ პორტუგალიაში გავიგე, რომ "ლე მანი" ჩვენით დაინტერესდა. მას მერე საბოლოო მოლაპარაკებები შედგა და ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა. "ზესტაფონთან" ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ დამრჩა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია მხარში ამომიდგა, საფრანგეთში გადასვლაში დამეხმარა..*

*ჩავალთ, კონტრაქტებს გავაფორმებთ. რამდენადაც ვიცი, მთავარ გუნდთან ერთად მოგვიწევს ვარჯიში და დუბლებში ვითამაშებთ.*

*ვფიქრობ, ახალ გუნდში ფიზიკურად ადაპტაცია ძალიანაც არ გაგვიჭირდება. ფსიქოლოგიურად მზად ვართ. მე და ვახო ფანცხავა ახლო მეგობრები ვართ და ერთმანეთს გავიტანთ",* - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ამირან სანაიამ.

*"დიახ, პორტუგალიის ტურნირზე გვაკვირდებოდნენ "ლე მანის" სკაუტები. ბოლოს, ბელგიასთან მატჩში (3:0) ორი გოლი გავიტანე. 19-წლამდელთა ნაკრების რიგებში, ფრანგული კლუბის სკაუტებმა მეორედ გერმანიის 19-წლამდელებთან ამხანაგურ მატჩში გვნახეს. ძალიან ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი საკითხი დადებითად გადაწყდა",* - ეს უკვე ვახტანგ ფანცხავას სიტყვებია.

ფანცხავა რამდენიმე კვირის განმავლობაში მკურნალობდა. ბუნებრივია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დავინტერესდით.

*"დიახ, წელი მტკიოდა და კიევში ვიმკურნალე. მერე სპეციალური პროგრამით, ნელ-ნელა შევუდექი ვარჯიშს. უკვე თვეზე მეტია, ვვარჯიშობ და ცუდად არ გამოვიყურები. ახალ გუნდში ინტენსიურად ვივარჯიშებ და ოპტიმალურ ფორმაშიც მალე ვიქნები".*

დღეისათვის სულ ეს იყო. ამ თემაზე მომდევნო ნომრებშიც გამცნობთ.

**დავით ცაბაძე**

# მამალაძემაც ვერ უშველა

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მესამე ტურის ცენტრალური მატჩი "ბაქისა" და "ინტერს" შორის უგოლოდ დასასრულამდე დასრულდა, რომელშიც ქართველი **ამირან მუჯირი** მონაწილეობდა. მუჯირს მეტოქის მწვრთნელ **ელხან აბდულაევთან** შელაპარაკება მოუვიდა, ფეხბურთელი კი საკუთარმა მწვრთნელმა **ბუიუქალა გაჯიევმა** დაიცვა. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა, ამირან მუჯირმა კი - თავდამსხმელთა უკან. **ლადო უგრეხელიძის** "სტანდარდმა" 4:1 დამარცხა "მაშალი", უგრეხელიძემ მარჯვენა ფლანგზე ითამაშა. "ნეფთჩიმ" შინ გაჭირვებით დაამარცხა "კაბალა" - 2:0. **გიორგი ადამიას** გოლი არ გაუტანია. მარცხისა და ორი გაშვებული გოლის მიუხედავად, **ზურაბ მამალაძემ** აზერბაიჯანული პრესის შექება დაიმსახურა. მამალაძის გარდა, "კაბალაში" **ირაკლი ვაშაკიძე, გიორგი გაბიდაური** და **თორნიკე აფციაური** თამაშობენ. გამარჯვების მიუხედავად, "ნეფთჩიში" მწვრთნელთა ცვლაა, კლუბს ამიერიდან ჩეხი **ვლასტმილ პეტრჟელა** უხელმძღვანელებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართველი სლოვაკეთშიცაა

ზურაბ არზიანი

რუსეთში პირველი დივიზიონის მორიგი ტურის მატჩში მახაჭყალის "ანჟი" შინ როსტოვის ასკ-თან 1:3 დამარცხდა. მასპინძელთა კარში მეორე გოლი წარმოშობით ქართველმა **გიორგი კენკიშვილმა** გაიტანა. **ომარ თეთრაძემ ზურაბ არზიანი** შესვენების შემდეგ ჩართო თამაშში. ბრიანსკის "დინამო", სადაც ვეტერანი **პაატა ჯინჭარაძე** თამაშობს სასტიკად დამარცხდა "ურალთან" - 0:5.ჯინჭარაძე 81-ე წუთზე შეცვალეს. "დინამო" 47 ქულით მეშვიდე ადგილზეა, "ანჟის" 39 ქულა აქვს და მეათეა.

ბელარუსში მე-17 ტურის მატჩები გაიმართა. ბრესტში "დინამო" "მინსკს" დაუზავდა - 0:0. **რომან გოგინაშვილს** არ უთამაშია, **გიორგი თოდუა** კი ერთხელ ახლოს იყო სტუმართა კარის დალაშქვრასთან, თუმცა მისი დარტყმული მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა. "პრესბოლმა" თოდუას თამაში ოთხიანით შეაფასა. მოგილევის "დნეპრი" 1:2 დამარცხდა "დარიდასთან". მატჩს 42-ე წუთზე **ალექსანდრე შუბლაძემ** პენალტი ვერ გაიტანა (გოლკიპერმა აუღო), "პრესბოლისგან" მან 4,5 ქულა მიირო. ქართველთა გუნდები სახიფათო ზონაში არიან 14-14 ქულით და ბოლოსწინა "მინსკს" სულ ორი ქულით უსწრებენ.

ირანში **აქვსენტი გილაურის** ახალი კლუბი "პეგა" თეირანში "პერსეპოლისს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა, მატჩს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო. გილაური 64-ე წუთზე შეცვალეს. ისფაჰანში **ჯაბა მუჯირის** "სეფაჰანმა" 2:1 დაამარცხა "აბუმოსლემი", ჯაბასახლა სეზონში ჯერ არ უთამაშია. "სეფაჰანი" პირველ ადგილზეა, "პეგა" - ბოლოზე.

ქართველი ლეგიონერი სლოვაკეთშიც გვყოლია, მეორე ლიგის "მიხალოვცეში" "თბილისისა" და "ლოკომოტივის" ყოფილი თავდამსხმელი **ირაკლი ლილუაშვილი** თამაშობს. მან პირველივე მატჩში დუბლი შეასრულა "სტარა ლუბოვნას" კარში (4:2). ლილუაშვილი კონტრაქტით დონეცკის "მეტალურგს" ეკუთვნის. "მიხალოვცე" 8 ქულით მერვე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვაჟა თარხნიშვილი

ერთი ქართული გოლი ამ უქმეებზე მაინც გავიდა - მოლდოვის ჩემპიონატის მეცხრე ტურში "ტილიგულის" კარში თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან "შერიფის" კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** გაიტანა. "შერიფმა" დერბიში 3:0 იმარჯვა. თარხნიშვილისთვის ეს მეექვსე თამაშში გატანილი მეორე გოლია. კიშინოვში "ზიმბრუმ" "ტირასპოლის" დამარცხება ვერ მოახერხა. **მამუკა ლომიძეს** არ უთამაშია "ზიმბრუს" შემადგენლობაში. ახალ სეზონში მან ძირითადში ადგილი დაკარგა, რომელიც ქართველ მცველს წინა სეზონში გარანტირებული ჰქონდა. "ზიმბრუს" და "შერიფს" 16-16 ქულა აქვთ და "ტირასპოლთან" ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ, ოღონდ "შერიფმა" კიშინოვურ კლუბზე ორი მატჩით ნაკლები ითამაშა. ჩემპიონატს "ნისტრუ" 20 ქულით ლიდერობს.

ლატვიაში რიგის "სკონტომ" "იურმალა" 4:0 გაანადგურა. მასპინძელთა ორივე ქართველმა სასტარტოში ითამაშა, **დავით გამეზარდაშვილმა** ტრადიციულად, დაცვის ცენტრში, ტრავმამოშუშებულმა **ზაალ ელიავამ** კი - მარცხენა ფრთაზე. ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" ლიეპაიაში მნიშვნელოვან შეხვედრაში დამაარცხა ლიდერი "მეტალურგი" - 2:0. **ზურაბ მენთეშაშვილმა** 90-ე წუთამდე ითამაშა და მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეცვალეს. **დავით იმედაშვილი** სათადარიგო იყო. **თამაზ პერტიას** გუნდი კვლავ დამარცხდა, ამჯერად "რიგასთან" - 1:3. **ლევან კორღალიძე** 87-ე წუთზე შეცვალეს, მის ნაცვლად თანამემამულე **ბექარ გიორგაძე** გამოვიდა. **როლანდ სვანიძე** კი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა. "ვენტსპილსი" 38 ქულით მესამე ადგილზეა, "სკონტო" 36 ქულით მეოთხეა, ხოლო "დინაბურგი" 14 ქულით - ბოლოსწინა.

ლიტვაში "ჟალგირისმა" 7:0 გაანადგურა აუტსაიდერი "ინტერასი". ბოლო ხანებში "ინტერასში" სამი ქართველი ჩაირიცხა, სასტარტოში **ბესიკ ჭილლაძე** იყო, რომელიც 59-ე წუთზე შეცვალეს. **სულიკო კაკაბაძე** შესვენების შემდეგ შევიდა, ხოლო **გიორგი ფურცელაძე** - 56-ე წუთზე. "კაუნასმა" სტუმრად "ვეტრას" 1:0 სძლია. **ნუკრი მანჩხავამ** და **გივი კვარაცხელიამ** შეუცვლელად ითამაშეს, **აკაკი ხუბუტია** არ ყოფილა. "კაუნასი" 53 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს, "ინტერასი" 24 თამაშიდან 8 ქულით ბოლო ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ზურაბ მენთეშაშვილი

მივიდა, ნახა, მოიგო

მივედი, ვნახე, გავიმარჯვე - ასეა რუსთავის "ოლიმპის" ექსთავკაცის, **რევაზ ძოძუაშვილის** საქმე. ყაზახეთში ქართველმა სპეციალისტმა ყარაღანდის "შახტიორს" ერთ-ერთ აუტსაიდერ "ატირაუსთან" 2:1 მოაგებინა. ძოძუაშვილის მისვლამდე ფორვარდი **ლევან მელქაძე** ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ატარებდა დროს, ძოძუაშვილი კი მას ენდო და ექსდინამოელმაც მწვრთნელს იმედი გაუმართლა - 70-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მატჩს ყარაღანდში 6 ათასი მაყურებელი დაესწრო. ძოძუაშვილმა **ლაშა ნოზაძე** საყრდენ ნახევარმცველად ათამაშა, მელქაძე კი მეორე ფორვარდად. პირველი სახიფათო მომენტიც ქართველის დარტყმის შემდეგ შეიქმნა - ნოზაძემ 30 მეტრიდან ოდნავ აიცილა ხარიხას. გოლი ასე გავიდა: **ანდრეი ფინოჩენკომ** მარცხენა ფლანგიდან ჩააანოდა, ბურთი "ატირაუს" ფეხბურთელმა უშნოდ მოიგერია და ლევან მელქაძეს გოლის გატანა არ გასჭირვებია. 81-ე წუთზე ძოძუაშვილმა მელქაძე მცველით შეცვალა. ეს მელქაძის მეორე გოლია. სეზონში. "შახტიორის" ქართული წარმოშობის გოლიკიპერი **დავით ლორია** გახარებული ჩანდა: *"კარგი მატჩი გამოვიდა. ახლა კონცენტრაციის დაკარგვა აღარ შეიძლება. ყველანი ასი პროცენტით უნდა დავიხარჯოთ - სხვანაირად მიზანს ვერ მივაღწევთ".* შახტიორის" მიზანი კი ჩემპიონობაა. 20 თამაშიდან 38 ქულით ძოძუაშვილის გუნდი მესამე ადგილზეა, "აკტობე" 41 ქულით (19 მატჩიდან) ლიდერობს, 38 ქულა აქვს "ზესტაფონისთვის" ავად ნაცნობ "ტობოლს" (18 თამაშიდან).

**გიორგი მეგრელაძის** "ჟეტისუ" შინ 1:1 დაუზავდა "ორდაბასის" და 35 ქულით მეოთხე ადგილზეა. მეგრელაძე ტრავმირებულია. "კაისარმა" სტუმრად 3:0 მოუგო "თარაზს", სტუმართა რიგებში არ უთამაშია **გიორგი გოგიაშვილს**. "კაისარი" 28 ქულით მერვე ადგილზეა. "ეკიბასტუზეცმა" 3:1 დაამარცხა "ვოსტოკი", მასპინძელთა რიგებში 82-ე წუთამდე ითამაშა **ზურაბ არჩვაძემ,** სტუმართა შორის შეუცვლელად - **ზვიად ჯულაძემ**. "ეკიბასტუზეცი" 26 ქულით მეცხრეა, "ვოსტოკი" 24-ით - მეათე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ანტონიო პუერტა გარდაიცვალა

გუშინ, ანტონიო პუერტას მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და 22 წლის ფეხბურთელი საღამოს გარდაიცვალა. მოგეხსენებათ, გასულ შაბათს "ხეტაფესთან" მატჩის მსვლელობისას "სევილიის" მცველმა თავი შეუძლოდ იგრძნო და გონება დაკარგა. რამდენიმე წამში იგი გონს მოვიდა, მაგრამ უმალ კვლავ გაითიშა. ანდალუსიური კლუბის სამედიცინო შტაბის მეცადინეობით, მისი რეანიმირება მოხერხდა. გულის მასაჟებმა ფეხბურთელი სიკვდილს გადაარჩინა. ის დაუყოვნებლივ კარდიოლოგიურ კლინიკაში გააქანეს. თითქოს პუერტამ კრიზისი დაძლია. ოჯახის წევრებსა და "სევილიის" დიდ ოჯახს იმედი გაუჩნდათ, რომ იგი გადარჩებოდა, მაგრამ ორშაბათს საბრალო ბიჭი კომაში ჩავარდა. ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს პაციენტის გადასარჩენად, მაგრამ ამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში მედიცინა უძლური აღმოჩნდა. დაავადება მართლაც მძიმე იყო. თავად განსაჯეთ. საავადმყოფოსკენ მიმავალს რეანიმობილში გული კიდევ ხუთჯერ გაუჩერდა. მძლავრი შეტევები პუერტას უშუალოდ რეანიმაციულ ბლოკშიც გაუმეორდა. ექიმებმა გარდაცვალების მიზეზად სისხლის მიმოქცევის დარღვევა დაასახელეს. ბოლოს ტვინს სისხლის კვება მოაკლდა და 6 წუთში ანტონიო მოკვდა.

ოჯახის წევრებთან გასაუბრების შემდეგ გადაწყდა, რომ პუერტას "სანჩეს პისხუანზე" დაასვენებენ. კლუბმა ერთკვირიანი გლოვა გამოაცხადა. მოსალოდნელია, რომ პანაშვიდებს 10 ათასობით ადამიანი დაესწრება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ანტონიო სიკვდილს ებრძოდა, საავადმყოფოს ირგვლივ სრულიად უცნობი ადამიანების არმია იკრიბებოდა და დუმილით ცდილობდა პაციენტის გამხნევებას. ხალხი, უბრალოდ, სანთლებს ანთებდა და მისი გადარჩენისთვის ლოცულობდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტონიო პუერტა თანამედროვე ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, "სელექსიონის" ხელმძღვანელობა მას ჯეროვნად აფასებდა და შესაძლებლობას აძლევდა, რომ ნაკრების ღირსება დაეცვა. შთამბეჭდავი გახლდათ მისი საკლუბო კარიერაც. "სევილიასთან" ერთად ანტონიომ ხუთი ტიტული მოიპოვა. ორჯერ უეფას თასს დაეუფლა, თითო-თითოჯერ ევროპისა და ესპანეთის სუპერთასებს, ერთხელ კი ესპანეთის სამეფო თასს დაესაკუთრა. აღსანიშნავია, რომ 22 წლის ახალგაზრდას უამრავი ევროპული გრანდი ეპატიჟებოდა, თუმცა საკუთარ მენეჯერებს მათთან მოლაპარაკებების დაწყებას უკრძალავდა. ანტონიო დაუფარავად ამბობდა, რომ "სევილია" მისი ცხოვრების კლუბია და სხვაგან წასვლას არ აპირებდა. ბუნებრივია, ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელობა ამ ერთგულებას ჯეროვნად აფასებდა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ტრაგიკულ დღეს "სევილიის" პრეზიდენტი, ხოსე მარია დელ ნიდო გულმოკლულია: *"უდიდესი ადამიანი დავკარგეთ. ეს ტკივილი დიდხანს არ განელდება. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს დამნაშავე ვარ. იქნებ, ანტონიოს ფეხბურთი საერთოდ რომ არ ეთამაშა, არ მომკვდარიყო. გულით თურმე მომაკვდინებელ დაავადებას ატარებდა. ცხადია, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. გლოვის დღეები დაგვიდგა. ანტონიოს ხსოვნას საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ.ვასვენებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და პრობლემას ჩვენ თავზე ვიღებთ, თუმცა ახლა რა, ამაზე საუბრის დროა? ცრემლებს ვერ ვიკავებ."*

დელ ნიდო მართლაც ტიროდა, მაგრამ ის ხუანდე რამოსზე ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა. "სევილიის" მთავარი მწვრთნელი იმდენად შოკირებული და გაოგნებული იყო, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. რამოსს ცრემლები ღვარად სდიოდა.



პიტერ კრაუჩი

ლივერპული

## კრაუჩი ფიქრობს

### გუშინ ენფილდზე ევერტონის ჰიმნი ჟღერდა

**რაფა ბენიტესი** **პიტერ კრაუჩს** საათამაშო დროს ჰპირდება. ინგლისის ნაკრების ფორვარდი იმედგაცრუებულია. პრემიერლიგის სამ მატჩში ის მხოლოდ შვიდი წუთი ათამაშეს, "სანდერლენდთან" ბოლო ტურში კი განაცხადშიც არ შეუყვანიათ. **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერის შემდეგ კრაუჩი ლივერპულელთა მეოთხე თავდამსხმელად იქცა. არადა, გასული სეზონი, 18 გოლით, საუკეთესო ბომბარდირის რანგში დაასრულა. პიტერმა უკმაყოფილება მთავარ მწვრთნელსაც გაუზიარა. ბენიტესმა მას უთხრა, რომ სეზონის განმავლობაში 35-40 მატჩს ჩაატარებს. გუშინ მერსისაიდელებმა "ტულუზთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი საკვალიფიკაციო თამაში გამართეს. კრაუჩი ძირითად შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო.

აქვე გეტყვით, რომ პიტერს "პორტსმუთი" ეპატიჟება. **ჰარი რედნაპი** მზადაა, კლუბისთვის სარეკორდო, 9 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. **ნიკოლა ანელკამ** "პორტსმუთის" მიწვევა თავაზიანად იუარა. ახლა რედნაპმა კრაუჩი ამოილო მიზანში. უცნაური ისაა, რომ ამ მწვრთნელს პიტერი ორჯერ ჰყავს გაყიდული: ჯერ "პორტსმუთში" ყოფნისას "საუთჰემპტონს" მიჰყიდა, შემდეგ კი "საუთჰემპტონიდან" "ლივერპულს" 7 მილიონად დაუთმო. ახლა რედნაპი ისევ "პორტსმუთშია" და ყოფილი შეგირდის დაბრუნებას ცდილობს.

"ტულუზთან" გუშინდელი თამაშის წინ მაყურებელი უჩვეულო სანახაობის მომსწრე შეიქნა. "ენფილდზე" "ლივერპულის" მოსისხლე მტრის, "ევერტონის" ჰიმნი ჟღერდა. ლივერპულელებმა თამაში ამ ჰიმნით დაიწყეს. ბრიტანელმა მიმომხილველებმა მომხდარს უპრეცედენტო შემთხვევა უწოდეს. მიზეზი გასულ კვირაში მომხდარი ტრაგედია გახლდათ. მავანმა თინეიჯერმა ბოროტმოქმედმა ერთი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა "ევერტონის" 11 წლის ფანი **რის ჯოუნსი**. პატარა რისი ევერტონის სეზონური აბონემენტის მფლობელი იყო. ის თანატოლებთან ერთად ქუჩაში ფეხბურთს თამაშობდა, როცა კისერში ესროლეს. ამ მკვლელობამ მთელი ლივერპული და ბრიტანეთი შეძრა. "ევერტონის" ფეხბურთელებმა გარდაცვლილს ორშაბათს მიაგეს პატივი. "ლივერპულის" ხელმძღვანელობა რისის ოჯახს დაუკავშირდა და თანხმობის შემდეგ, "ენფილდზე" "ჯონი ტოდი" ააჟღერა. ასე ჰქვია ევერტონელთა ჰიმნს, რომელსაც "ლივერპულის" სტადიონზე დერბის წინ იმ დროს უკრავენ ხოლმე, როცა "ევერტონი" მოთელვაზე გადის. "ჯონი ტოდს" "ენფილდი" ყოველთვის გამაყრუებელი სტვენით ეგებება. გუშინ კი "ლივერპულის" ფანებმა თანაქალაქელთა გლოვა გაიზიარეს. ენფილდელ ფეხბურთელებს შავი სამკლაურებიც ეკეთათ.

მანჩინი და ადრიანო შორდებიან?

ჭირვეული კაცი

# ადრიანოს კარი მიუხურეს

### მანჩინიმ იმპერატორს განაჩენი გამოუტანა. ვესტ ჰემი მზადაა, არსენალს არ უნდა

**ადრიანოს** მომავალი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა. **რობერტო მანჩინიმ** ის "უდინეზესთან" მატჩის განაცხადში არ შეიყვანა, რითიც დაადასტურა, რომ ფეხბურთელთან პრობლემები აქვს. გუშინ, "ინტერის" მწვრთნელმა ადრიანოსთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მას ახლა ბევრი სირთულე აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ადრიანო გუნდიდან წავიდეს. მას ძირითად შემადგენლობაში თამაში სურს, თუმც ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ სასტარტოში ადგილი შრომით დაიმსახუროს. ასეთ შემთხვევაში, უკეთესი იქნება, თუ სხვა კლუბს მონახავს. ვფიქრობ, ადრიანოს პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყვიტოთ".*

"სხვა კლუბი" შეიძლებოდა ყოფილიყო "პარმა", რომელმაც თავად გამოთქვა ბრაზილიელი ფორვარდის დაბრუნების სურვილი, მაგრამ "იმპერატორმა" წინადადება კატეგორიულად უარჰყო. "პარმა" მზად იყო, ჭირვეულ ფეხბურთელთან ერთნლიანი არენდა გაეფორმებინა, მაგრამ ადრიანოს მიაჩნია, რომ არ არის ღირსი, სადმე იჯარით ითამაშოს, მას სრულყოფილი და მრავალწლიანი კონტრაქტი სჭირდება...

ამასობაში, მედიამ გაავრცელა ინფორმაცია ადრიანოს "მილანში" შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებითაც. მაგრამ "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** დიპლომატიურად შორს დაიჭირა: *"ადრიანო ოცნებაა, რომელსაც აღსრულება არ უწერია. რატომ? იმიტომ, რომ ის დიდი ჩემპიონია, "ინტერსა" და "მილანს" შორის კი ასეთი ტრანსფერი ვერ მოხდება".*

გუშინ, ადრიანოზე ინგლისური სააგენტოებიც ალაპარაკდნენ. "დეილი მეილის" ინფორმაციით, ფორვარდით "მიდლსბრო" და "მანჩესტერ სიტი" დაინტერესდნენ. ბოლო მომენტში დადასტურდა, რომ ადრიანოს გადაბირების სურვილი "ვესტ ჰემსაც" აქვს. კლუბს არ უარყვია ისიც, რომ "ჩაქუჩების" აღმასრულებელი დირექტორი **სკოტ დაქსბერი** უკვე გაფრინდა მილანში, სადაც "ინტერის" ოფიციოზთან მოლაპარაკებებს გამართავს.

საინტერესოა, რომ გუშინ **არსენ ვენგერმა** უარი თქვა ბრაზილიელი ფორვარდის იჯარით აყვანაზე: *"მათ შემოგვთავაზეს საარენდო ხელშეკრულება, მაგრამ ჩვენ ეს არ ვისურვეთ, რადგან ადრიანოს მონაცემები არ გვაკმაყოფილებს. ესეც არ იყოს, "ინტერმა" მის სანაცვლოდ ერთი ისეთი ფეხბურთელი მოგვთხოვა, რომელიც "არსენალს" ძალიან სჭირდება. მე არ ვიტყვი, ვის ზე იყო ლაპარაკი. მოკლედ, ადრიანო არ გვინდა. ის გუნდში არსებულ ბალანსს დაარღვევს".*

ტრანსფერები

# ინჯაგიმ ატალანტას მიაშურა

### ლაციო კი ახალ ბუფონს ელოდება

**სიმონე ინჯაგის** ორნლიან გაურკვევლობას წერტილი დაესვა. "ლაციოში" ის სწორედ ამ გაურკვევლობამ დატანჯა. **დელიო როსი** მას ნაკლებად სწყალობდა მაშინაც კი, როცა ტრავმა აღარ აწუხებდა. შედეგად, ბოლო ორ სეზონში უმცროსმა ინძაგიმ მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა. არადა, თავის დროზე, სიმონე იტალიური ფეხბურთის ყველაზე იმედისმომცემ ფორვარდად ითვლებოდა. გავიხსენოთ "ლაციო"-"მარსელის" საჩემპიონთალიგო მატჩი (5:1, 1999/00 წლების სეზონში), რომელშიც მან 4 გოლი გაიტანა. გარკვეულწილად, ის თავისი ძმის, **ფილიპოს** ჩრდილშიც მოექცა და ფსიქოლოგიურად, მის კარიერაზე ამანაც იქონია გავლენა...

და აი, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სამი დღით ადრე, "ლაციალემ" სიმონე მოიშორა და ერთნლიანი იჯარით "ატალანტას" დაუთმო. 31 წლის ფორვარდს "პარმასა" და "კალიარიში" გადასვლაც შეეძლო, მაგრამ ორივე წინადადება უარჰყო. ეს კი ძალიან უცნაურია იმ ფონზე, რომ ხსენებულ კლუბებს თავდასხმაში ძალიან უჭირთ, "ატალანტაში" კი საეჭვოა, ინძაგის ძირითადში გარანტირებული ადგილი ჰქონდეს. **ლუიჯი დელ ნერის** არანკლებ ძლიერი ფორვარდები ჰყავს **რიკარდო ძამპანაის, ზლატან მუსლიმოვიჩის, ანტონიო ლანჯელასა** და **სერჯო ფლოკარის** სახით. ვნახოთ, როგორ გამოიჩენს თავს სიმონე. ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ "ატალანტას" ეს არენდა 600 ათასი გირვანქა დაუჯდა.

მაგრამ "ლაციოსთვის" ინძაგიზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა მეკარის საკითხია. მას შემდეგ, რაც **ანჯელო პერუციმ** ფეხბურთში დაბრუნებაზე საბოლოოდ უარი თქვა, ხოლო **მატეო სერენი** "ტორინოში" გადავიდა, "ბიანკორელესტეს" ხელთ 43 წლის **მარკო ბალოტა** შერჩა. ცხადია, ამბიციური კლუბი ამ პრობლემას ვერ შეეგუება. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ არა და არ გამოდის "რივერ პლეიტიდან" არგენტინელი მეკარის **ხუან პაბლო კარისოს** ტრანსფერი. ახლა, "ლაციალეს" ობიექტივშია ურუგვაელი კიპერი **ფერნანდო მუსიერა**, რომელსაც ევროპაში სხვა მთხოვნელებიც ჰყავს "ინტერისა" და "არსენალის" სახით. 21 წლის მეკარის თაობაზე რომაელები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას მის აგენტ **ტიბერიო კაბალერისთან**, რომელიც მუსიერას "ახალ ბუფონს" უწოდებს:

*"ლაციოს" ყველა პირობა აქვს იმისთვის, რათა "ახალი ბუფონი" შეიძინოს. ეს არის თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ გამოცდილი, საუცხოო ფიზიკური მონაცემებისა და რეაქციის მქონე მეკარე, რომელიც მზადაა ევროპაში სათამაშოდ. რომაელები მას ჯერ კიდევ ივნისში დაუკავშირდნენ, მაგრამ მაშინ საპასპორტო პრობლემები შეიქმნა. ახლა, ეს საკითხი უკვე მოგვარებულია და "ლაციოს" შეუძლია, მუსიერასთვის ბრძოლაში "ინტერი" და "არსენალი" დაამარცხოს".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# რონალდინიო, ორგზის უძვირფასესი?

## ის, შეიძლება, მსოფლიოში ყველაზე ძვირი და ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდეს, კენიონი ლაპორტას მონაკოში ხვალ შეხვდება...

რონალდინიო ესპანელი გახდა და შეიძლება, ლონდონს მიაშუროს

ხვალ, მონაკოში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება. სხვებთან ერთად, კენჭისყრას "ჩელსისა" და "ბარსელონის" ხელმძღვანელებიც დაესწრებიან. ლონდონელთა აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** მთელ დღეს იმავე შენობაში გაატარებს, სადაც ბარსელონელი პრეზიდენტი **ხოან ლაპორტა** იქნება. დაგეგმილია შეხვედრა, რომელზეც რონალდინიოს საკითხი უნდა გადაწყდეს. "სანი" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ახალ დეტალებს ამზეურებს. "ჩელსი" მზადაა, "ბარსელონას" 50 მილიონი გირვანქა (100 მილიონი დოლარი) შესთავაზოს, ფეხბურთელს კი კვირაში 150 ათასი გირვანქა დაუნიშნოს. გარიგების შემთხვევაში ორი რეკორდი დამყარდება: რონალდინიო მსოფლიოს უძვირფასესი და ამავე დროს, ევროპის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. 50 მილიონი გირვანქა "რეალის" მიერ 2001 წელს დამყარებულ რეკორდს დაამხობს. იგულისხმება "იუვენტუსიდან" **ზინედინ ზიდანის** 35 მილიონიანი ტრანსფერი. და კიდევ, ევროპის არც ერთი გრანდის არცერთ ფეხბურთელს არ უხდიან კვირაში 150 ათას გირვანქას (300 ათასი დოლარი). რონალდინიოზე მაღალი ხელფასი მხოლოდ **დევიდ ბექჰემს** ექნება. მას "ლოს ანჯელეს გალაქსი" წელიწადში 50 მილიონ დოლარს უხდის.

ბრიტანული სააგენტოები რონალდინიოს კომენტარს ავრცელებენ. ფეხბურთელი ამბობს, რომ "ჩელსი" მას ოთხი წლის წინათაც იწვევდა: *"ჩემმა ძმამ მითხრა, რომ ლონდონელებს ჩემი შეძენა სურთ. ნებისმიერი ფეხბურთელი ისურვებდა ამ დიდ კლუბში თამაშს. "ჩელსის" დიდ პატივს ვცემ. არ გამოვრიცხავ, ერთ დღეს ლონდონში აღმოვჩნდე. იქ თამაშის შანსი ბარსელონაში ჩამოსვლამდეც მქონდა. მართალია, ბარსელონელებზე უკეთესი ხელფასი შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ მათმა წინადადებამ არ დამაინტერესა. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. მართალია, "ბარსელონაში" თავს შესანიშავად ვგრძნობ, მაგრამ სამომავლოდ არაფერს გამოვრიცხავ. სიამოვნებით ვითამაშებდი ინგლისში და დავამტკიცებდი, რომ პრემიერლიგაში ტექნიკურ ფეხბურთელებსაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა."*

რონალდინიოს კომენტარი "ჩელსის" წისქვილზე ასხამს წყალს. მისი განცხადება ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ტრანსფერზე თანახმაა. **რომან აბრამოვიჩი** უკვე ორჯერ შეხვდა რონალდინიოს ძმას, **რობერტო ასისს**. ბრიტანული ტაბლოიდების ცნობით, მოლაპარაკებებმა ნაყოფიერად ჩაიარა. ახლა მხოლოდ "ბარსელონის" თანხმობაა საჭირო. კატალონიელები ამის გაკეთებას ჯერ არ ჩქარობენ. კაცმა რომ თქვას, ეს არცაა გასაკვირი. "ბარსას" ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიუღია. როგორც აღვნიშნეთ, კენიონი ლეპორტას ხვალ შეხვდება. ბარსელონელთა სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** კი ამბობს, რომ საგაზეთო სპეკულაციები არ აღელვებს, რადგან რონალდინიოს "ბარსელონასთან" კონტრაქტი აკავშირებს და კატალონიელთა საკუთრებაა.

სხვათა შორის, გუშინ რონიმ ესპანური პასპორტი აიღო. ის ესპანეთში უცხოელად აღარ ჩაითვლება. "ბარსას" ერთი არაევროკავშირელი ფეხბურთელის ადგილი გაუთავისუფლდა. ამ ადგილს ახალგაზრდა მექსიკელი თავდამსხმელი **ჯოვანი დოს სანტოსი** დაიჭერს. მის გარდა, კატალონიელებს კიდევ ორი უცხოელი ჰყავთ: კამერუნელი **სამუელ ეტოო** და კოტდივუარელი **იაია ტურე**. ისე, რონალდინიოს ესპანური პასპორტი ინგლისშიც გამოადგება. მისი წყალობით, მას "ჩელსიშიც" ევროპელად მიიღებენ.

მანჩესტერ იუნაიტედი

# სოლსკიაერი წავიდა

## საამ მწვრთნელებს მოთმინების ფიალა აუვსო, იყიდის თუ არა ფერგი თავდამსხმელს?

1999 წლის მაისი, სოლსკიაერი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან გოლს ზეიმობს

**ოლე გუნარ სოლსკიაერმა** კარიერა დაასრულა. ეს ინფორმაცია ბრიტანულმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს. "მანჩესტერ იუნაიტედის" 34 წლის თავდამსხმელმა მუხლის ქრონიკული ტრავმა ვერა და ვერ მოირჩინა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მან პენსიაში გასვლა გადაწყვიტა. ნორვეგიელი ფორვარდი "იუნაიტედში" დარჩება. გასულ სეზონში ის კლუბის ელჩად დანიშნეს. შესაძლოა, სამწვრთნელო სამუშაოც კი შესთავაზოს. ოლე გუნარმა ეს ნამდვილად დაიმსახურა. მან მანჩესტერში 11 წელი გაატარა და "იუნაიტედის" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გოლიც შეაგდო. 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მსაჯისაგან დამატებულ დროში გატანილ გოლს ვგულისხმობთ, რომელმაც "მენიუს" "ბაიერნთან" გაამარჯვებინა და მეორე ჩემპიონთა თასი მოუტანა. სოლკაიერი "იუნაიტედში" 1996 წელს "მიოლდედან" 1.5 მილიონ გირვანქად გადავიდა. მან 366 მატჩი ჩაატარა და 126 გოლი შეაგდო. ოლე გუნარს მძიმე ტრავმის გამო მთლიანად გაუცდა 2004-05 და 2005-06 წლების სეზონები. შარშან ის მინდორს დაუბრუნდა და 11 გოლი გაიტანა. ფორვარდმა ბოლო მატჩი "ჩელსის" წინააღმდეგ, ასოციაციის თასის ფინალში ჩაატარა. შემდეგ ისევ დაშავდა და მოსამზადებელი პერიოდის გარდა, პრემიერლიგის პირველი ოთხი ტურიც გამოტოვა. სოლსკიაერი მშობლიურ ქალაქ კრისტიანსუნდიდან მანჩესტერში გუშინ დილით ჩაფრინდა. განცხადება მისი პენსიაში გასვლის შესახებ ოლე გუნარის მამამ, **ოივინდმა** გააკეთა: *"დღეს ყველა ჩვენგანისათვის სევდიანი დღეა. მან თამაშის გაგრძელება სურდა. გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავდა, მაგრამ მდგომარეობა გართულდა. მუხლი მინდორზე გასვლის იმედს აღარ გვიტოვებს. ასეთ დროს თამაში შეუძლებელია. სხვა გამოსავალი არ დარჩა. ოლე გუნარმა კარიერა უნდა დაასრულოს."* "მენიუს" ვარსკვლავს პრესკონფერენცია გუშინ საღამოს უნდა გაემართა.

"იუნაიტედის" ბანაკიდან კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. **ლუს საას** მანჩესტერული მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა ევსება. მწვრთნელებს იმედი ჰქონდათ, რომ ფორვარდი "ტოტენჰემთან" მატჩისას თადარიგში იქნებოდა, მაგრამ მან ვარჯიშზე უარი თქვა. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არათუ ვარჯიში, ცოტა ხნით თამაშიც კი შეუძლია. გამოდის, რომ ფრანგი ფორვარდი კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას თავს არიდებს. თანაც იმ დროს, როცა "ეშმაკებს" მისი დახმარება ჰაერივით სჭირდებათ. მოგეხსენებათ, **უეინ რუნი** დაშავებულია. ის ოქტომბრამდე ვერ ითამაშებს. სოლსკიაერმა კარიერა დაასრულა. თუ საა დროულად არ გამოჯანმრთელდება, ფერგის ფანჯრის დახურვამდე დარჩენილ სამ დღეში თავდამსხმელის შეძენა მოუწევს.

## ბასილეს 21 საუკეთესო

11 სექტემბერს არგენტინა მელბურნს ეწვევა და ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. **ალფიო ბასილემ** საუკეთესო 21-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. "ალბისელესტეს" მხოლოდ **ხუან რომან რიკელმე** დააკლდება. თამაში თავდაპირველად ივნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ორგანიზატორები შიშობდნენ, რომ მეტოქე ძლიერ ფეხბურთელებს ვერ შეკრებდა. ამჯერად მაყურებელი თითქმის ყველა არგენტინელ ვარსკვლავს იხილავს. შეხვედრას მელბურნის "კრიკეტ გრაუნდი" უმასპინძლებს. ბასილეს განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - რობერტო აბონდანსიერი (ხეტაფე), ოსკარ უსტარი (ხეტაფე), სერხიო რომერო (აკლმაარი);

**მცველები** - გაბრიელ ჰაინცე (რეალი), დავიდ დიასი (ხეტაფე), გაბრიელ მილიტო (ბარსელონა), ფაბრისიო კოლოჩინი (დეპორტივო), ნიკოლას ბურდისო (ინტერი), ხავიერ ძანეტი (ინტერი);

**ნახევარმცველები** - ფერნანდო გაგო (რეალი), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი), ხონას გუტიერესი (მალიორკა), ხავიერ მასკერანო (ლივერპული), ფედერიკო ინსუა (ამერიკა), კრისტიან ლედესმა (ოლიმპიაკოსი), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო), სერხიო აგუერო (ატლეტიკო);

**თავდამსხმელები** - ხავიერ სავიოლა (რეალი), ერნან კრესპო (ინტერი), კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლიონელ მესი (ბარსელონა).

## უკრაინა vs იტალია სანახევროდ ცარიელ სტადიონზე

12 სექტემბერს უკრაინა იტალიას უმასპინძლებს. მატჩი კიევის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. ქვეყნის უმთავრესი არენა, რომელიც ევრო 2012-ის თამაშებსაც და, სავარაუდოდ, ფინალსაც მიიღებს, 84 ათასი მაყურებელს იტევს, მაგრამ უეფას მოთხოვნით, მხოლოდ 41 ათასი ბილეთი გაიყიდება. მიზეზი იგივეა, რაც სხვა თამაშების დროს: სტადიონის წინ მასშტაბური მშენებლობა მიმდინარეობს. ის არენისაკენ მიმავალ გზას საგრძნობლად ავიწროვებს. ეს კი მაყურებლის უსაფრთხოების ხარჯზე ხდება. უეფა შიშობს, რომ სტადიონის გავსების შემთხვევაში, მოსალოდნელია ჭყლეტა, რასაც შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს. ამიტომ ორგანიზატორები ტრიბუნებს მხოლოდ სანახევროდ შეავსებენ. ამ მშენებლობის გამო უეფა იმუქრება, რომ ოლიმპიურ სტადიონს, შეიძლება, საერთოდ, ჩამოართვას ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება. მისი ემისარი კიევს სექტემბრის დასაწყისში ეწვევა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ამ საკითხზე იმსჯელებს. B ჯგუფში 12 ქულით უკრაინელებს მეოთხე ადგილი უკავიათ. ლიდერ საფრანგეთს 18 ქულა აქვს, იტალიას 16, ხოლო შოტლანდიას 15 ქულა.

## სელტიკის ოთხი ზედმეტი ფეხბურთელი

"სელტიკმა" სამი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. სამივე გამოცდილი მოთამაშეა და საკუთარი ქვეყნის ნაკრების წევრი, **გორდონ სტრაჩანს** კი არცერთი მათგანი აღარ სჭირდება. შოტლანდიელ **კენი მილერს**, პოლონელ **მაცეი ჟურავსკისა** და დანიელ **ტომას გრავესენს** ახალი სამსახურების მოძებნა მოუწევთ. ყველაზე მეტი შეთავაზება 27 წლის მილერს აქვს. მას "ფულჰემი", "მანჩესტერ სიტი", "ევერტონი" და "დერბი" ეპატიჟებიან. "სელტიკიდან" წასვლა სურს კიდევ ერთ ფეხბურთელს, ჩეხ ნახევარმცველ **ირჟი იაროშიკს**. ის ინგლისში ან რუსეთში დაბრუნებას აპირებს. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სამი დღე რჩება.

## მაიკონი რჩება, ინტერმა მეკარეც იყიდა

"ინტერმა" "რეალს" **მაიკონი** არ მიჰყიდა. "გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ სამეფო კლუბმა "ნერაძურის" ბრაზილიელი განაპირა მცველის სანაცვლოდ 20 მილიონ ევრო შესთავაზა. მილანელთა ტრანსფერების მენეჯერმა **მარკო ბრანკამ რობერტო მანჩინისთან** მოთათბირების შემდეგ, მადრიდელები უარით გაისტუმრა. ამასობაში, "ინტერმა" "კიევოს" მეკარე **ენრიკე ალფონსო** შეიძინა. 19 წლის გოლკიპერმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. "ინტერის" 16 წლის ნახევარმცველმა **ლუკა სანტონოჩიტომ** კი "სელტიკს" მიაშურა. მან გლაზგოელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



თანამემამულეთა შეხვედრა: ჰიდინკი და ბეენჰაკერი რუსეთი-პოლონეთის ამხანაგური მატჩის წინ

რუსეთი

# ჰიდინკმა იგნაშევიჩი დააბრუნა

## უდისციპლინოზისათვის დასჯილმა მცველმა ჭკუა ისწავლა

რუსეთის ნაკრების თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** მაკედონიასა და ინგლისთან სექტემბრის მატჩებისათვის გამოცდილი მცველი **სერგეი იგნაშევიჩი** გამოიძახა. ამ ფეხბურთელს პოლონეთთან ამხანაგურ შეხვედრაში (2:2) არ უთამაშია. მან შეკრებაზე რამდენიმე საათით დააგვიანა და კარისაკენ მიუთითეს. იგნაშევიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომხდარის გამო ძალიან წუხს, შეცდომას აღიარებს და ასეთი რამ აღარასოდეს დაემართება. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელის არყოფნა რუსების დაცვის ცენტრს ძალიან დაეტყო. პოლონეთმა ორივე გოლი ცენტრალური მცველების შეცდომების ხარჯზე გაიტანა. გამოძახებულნი არიან მეკარე **ვიაჩესლავ მალაფეევი**, ნახევარმცველი **ვიქტორ ბუდიანსკი** და თავდამსხმელი **ალექსანდრ კერჟაკოვი**. პოლონეთთან არც ამ ფეხბურთელებს უთამაშიათ. ჰიდინკმა ერთ დებიუტანტს უხმო - ცსკას მცველ **ივან ტარანოვს**. რუსეთს 15 ქულა აქვს და E ჯგუფში მესამე ადგილზეა. ის ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ ხორვატიას და ერთით უსწრებს მეოთხე ადგილზე მყოფ ინგლისს.

**მეკარეები** - ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი), ვლადიმირ გაბულოვი (კუბანი), ანტონ შუნინი (დინამო);

**მცველები** - სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), დენის კოლოდინი (დინამო), ივან ტარანოვი (ცსკა);

**ნახევარმცველები** - დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), იური ჟირკოვი (ცსკა), იგორ სემშოვი (დინამო), დმიტრი ტორბინსკი (სპარტაკი), ვლადიმირ ბისტროვი (სპარტაკი), კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი), ვიქტორ ბუდიანსკი (უდინეზე), რომან ვორობიევი (ხიმკი);

**თავდამსხმელები** - ანდრეი არშავინი (ზენიტი), პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი), რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი), დმიტრი სიჩოვი (ლოკომოტივი), ალექსანდრ კერჟაკოვი (სევილია), ივან საენკო (ნიურნბერგი).

ინტერვიუ კაკასთან

# მიხარია, რომ იუვე დაბრუნდა!

## კაკა როსონერის მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ გუნდიდან გააგდებენ...

**"მილანმა" სერია A-ს პირველ ტურში დამაჯრებლად მოიგო - 3:0 გენუაში. მატჩის გმირი კი, კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის, მერამდენედ, კაკა გახდა. "როსონერის" ბრაზილიელმა ლიდერმა დუბლი შეასრულა. სეზონის წინ მადრიდის "რეალი" მზად იყო, კაკას სანაცვლოდ 90 მილიონი ევრო გადაეხადა. ბრაზილიელი კი ამბობს, "მილანში" იმდენ ხანს დავრჩები, სანამ არ მეტყვიან, რომ საჭირო აღარ ვარ. ეს არის ციტატა ინტრვიუდან, რომელიც კაკას გერმანულმა "ველტმა" ჩამოართვა...**

**- კაკა, გასულ უქმეებზე იტალიის ჩემპიონატი დაიწყო. საინტერესოა, რას ელის ახალი სეზონისგან სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი?**

- პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მიხარია "იუვენტუსის" ელიტაში დაბრუნება. ტურინულ კლუბს ისეთი დიდი სახელის მქონე გუნდებიც გადმოჰყვნენ, როგორებიც არიან "ნაპოლი" და "ჯენოა" - ეს სამი გუნდი სერია A-ს უდიდეს ინტრიგას შემატებს. დარწმუნებული ვარ, რომ შარშანდელი აღარ განმეორდება - წლეულს ისე ველარავინ იბატონებს, როგორც ეს გასულ სეზონში "ინტერმა" გააკეთა. თუ კლუბებს გადავხედავთ, ეს სეზონი იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უნდა გამოვიდეს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ძალიან მიხარია, რომ იუვე დაბრუნდა - ამ გუნდის ადგილი სერია A-შია და იტალიის ჩემპიონატი "იუვეს", ისევე, როგორც "მილანის", "ინტერის", "რომასა" და "ფიორენტინას" გარეშე, წარმოუდგენელია.

**- თქვენ ამბობთ, რომ "იუვეს" ადგილი სერია A-შია. არადა, ეს გუნდი მანიპულირებდა და ფაქტობრივად, ყველას თავზე გადაახტა...**

- ჰო, "იუვენტუსი" მანიპულირებდა, მაგრამ ამ გუნდმა სასჯელი უკვე მოიხადა - ტურინელები მაგრადაც დაისაჯნენ: ერთი სეზონი სერია B-ში გაატარეს და მინიმუმ ორი სეზონით ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ. იტალიური საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟი კალჩოპოლის გამო მედგრად დაეცა - ესპანეთმა და ინგლისმა ძალიან გაგვისწრეს. ამ სეზონში კი, ლიგამ სერიოზულობა უნდა დაიბრუნოს. ტიფოზები სტადიონებზე მხოლოდ ამის შემდეგ თუ დაბრუნდებიან. დარწმუნებული ვარ, რომ კალჩო თავის პრესტიჟს დაიბრუნებს, ხოლო სერია A კი, ისევ მსოფლიოს საუკეთესო ლიგა იქნება.

**- რომელი გუნდები მიგაჩნიათ ფავორიტად?**

- უპირველესი ფავორიტები "მილანი" და "ინტერი" არიან. შემდეგ მოდის "რომა" და "იუვენტუსი". ვფიქრობ, სკუდეტოს ბედი ბოლო ტურებამდე არ გაირკვევა.

**- "მილანმა" პატოსა და ემერსონის სახით, კიდევ ორი ბრაზილიელი დაიმატა. "როსონერის" AC Brasil ხომ არ ვუწოდოთ?**

- ჰო, ბრაზილიელები ბევრნი ვართ: "მილანში" უკვე შვიდი ჩემი თანამემამულე თამაშობს. ემერსონის სახით ის ფეხბურთელი მივიღეთ, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა - იმისათვის, რომ ყველა ფრონტზე წარმატებისთვის იბრძოლოს, გუნდს ნებისმიერ პოზიციაზე ძლიერი ალტერნატივები სჭირდება. გუნდი, რომელსაც მხოლოდ 11 ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, ვერაფერს მიაღწევს.

**- "როსონერის" შეფებმა პატოში 22 მილიონი ევრო გადაიხადეს. ეს ბიჭი მხოლოდ სექტემბერში გახდება 18 წლის. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ზედმეტად რისკიანი ტრანსფერია?**

- ამ ბიჭს უდიდესი პოტენციალი აქვს და შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს. უბრალოდ, არ უნდა ავჩქარდეთ, დრო უნდა მივცეთ, რათა გაიზარდოს. პატოს თამაში მხოლოდ იანვრიდან შეეძლება. მანამდე კი, გუნდს და მილანურ ატმოსფეროს უნდა შეეგუოს, აქაური სამყარო გაიცნოს და ა.შ. "მილანი" ერთი დიდი ოჯახია, რომელშიც უნდა ჩაჯდე.

**- აი, "რეალის" პრეზიდენტ რამონ კალდერონს კი ძალიან სურდა, რომ თქვენ მისი ოჯახის წევრი გამხდარიყავით...**

- მინდა გითხრათ, რომ ამ დისკუსიებმა ნერვები დამაწყვიტა და წყობილებიდან არაერთხელ გამომიყვანა. ყელში ამომივიდა იმის მოსმენა, რომ "რეალს" ჩემი შეძენა უნდა. "მილანთან" კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს და მე ამ გუნდში მანამდე დავრჩები, სანამ "როსონერის" აღარ დავჭირდები. "მილანს" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ მეტყვიან, რომ აქ საჭირო აღარ ვარ.

**- გამოდის, რომ კარიერა "მილანში" უნდა დაასრულოთ...**

- რატომაც არა?

**- "რეალმა" მოსამზადებელ პერიოდში ფანებს იმედები გაუცრუა, ახალ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს მაგრად აკრიტიკებდნენ...**

- ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა ამ მხრივ ძალიან გადაამეტეს. მადრიდულმა კლუბმა სუპერთასი რომელიმე სუსტ გუნდთან კი არა, "სევილიასთან" წააგო, ეს კი ესპანეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ვიცი, რომ პარასკევს, ევროპის სუპერთასის მატჩში, "სევილიასთან" მოგება ჩვენც ძალიან გაგვიჭირდება. ყოველ შემთხვევაში, მე "რეალს" წარმატებებს ვუსურვებ, რადგან იქ ჩემი მეგობრები თამაშობენ.

**- პარასკევს "მილანი" ახალი სეზონის პირველი ტიტულისთვის იბრძოლებს. გუნდი სერია A-შიც ფავორიტია, იტალიის თასზეც, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც და ჩემპიონთა ლიგაშიც. არჩევნის უფლება რომ გქონდეთ, რომელ ტიტულს აირჩევდით?**

- მინდა, რომ ყველა ტიტული მოვიგო, მაგრამ თუ არჩევანზე მიდგა საქმე, მსოფლიოს თასს ავირჩევდი, რადგან ეს ჯილდო არასდროს მომიგია. ვიცი, ევროპაში ამ ტურნირს ჯეროვნად არ აფასებენ, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში, საკლუბო მუნდიალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურნირია.




კაკას ღმერთისა და მილანის სჯერა

**- ჩემპიონთა ლიგა ალბათ იმიტომ არ აირჩიეთ, რომ ცოტა ხნის წინათ მოახერხეთ მისი მოგება. გაუადვილდება თუ არა "მილანს" ჩემპიონთა თასის შენარჩუნება იმის გამო, რომ ამ ტურნირზე "ბაიერნი" არ თამაშობს?**

- "ბაიერნმა" შესანიშნავი ფეხბურთელები შეიძინა და, ჩემი აზრით, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია. სამწუხაროა, რომ მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგაში არ იასპარეზებენ - მე სწორედ უძლიერესთა წინააღმდეგ თამაში მინდა ხოლმე.

**- რომელი გუნდი იქნება "მილანის" უმთავრესი მეტოქე ჩემპიონთა ლიგაში?**

- ყველაზე მეტად მაინც ინგლისელების მეშინია. იმისათვის, რომ ისევ ფინალში გავიდეთ, "მანჩესტერის", "ჩელსის" ან "ლივერპულის" წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად მოგვიწევს.

**- გერმანელები და ინგლისელები პირველ ადგილზე ფიზიკურ მომზადებას აყენებენ. ეს ბრაზილიელისთვის ალბათ ნერვების მომშლელია...**

- ნებისმიერ საფეხბურთო ფილოსოფიას თავისი პლუსები და მინუსები აქვს. მაგალითად, ძალიან მომწონს გერმანული სტილი. ბუნდესლიგაში ფიზიკურად სუსტი მოთამაშე ვერაფერს გახდება. ბრაზილიაში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა, ჩვენთვის მთავარია, რომ მხიარული და ლაღი ფეხბურთი ვითამაშოთ, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ბრაზილიური ფილოსოფია სწორია, გერმანული კი - არა? ჩვენ ფეხბურთის თამაშის სტილი არ დაგვიპატენტებია. მაგალიტად, მე ბავშვობაში, ტელევიზორში ევროპულ ფეხბურთს უფრო დიდი სიამოვნებით ვუყურებდი, ვიდრე ბრაზილიურს. ჩემი მწვრთნელიც მირჩევდა, რომ ბრაზილიური ნიჭისა და ევროპული შრომისმოყვარეობის შერწყმა მომეხდინა.

**- კოპა ამერიკაზე არ იასპარეზეთ. კარლოს დუნგასთან პრობლემები ხომ არ გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, დამღლელი სეზონის შემდეგ, პაუზა მჭირდებოდა. თანაც, ხომ ხედავთ, "სელესაომ" კოპა მაინც მოიგო. დუნგასთან იდეალური ურთიერთობა მაქვს - ჩემთვის ბრაზილიის ნაკრებში თამაში უდიდესი პატივია.

**- გახდება თუ არა კაკა დეკემბერში მსოფლიოს ან ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი?**

- 2007 წლის პირველი ნახევარი ჩემთვის მართლაც გრანდიოზული იყო - ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. მეორე ნახევარიც ასეთივე უნდა გამომოვიდეს და იმედი მექმება, რომ ორივე ჯილდოს მივიღებ.

**- თქვენი თანამემამულეები, უდისციპლინობით გამოირჩევიან. მაგალითად, ბუნდესლიგაში ბრაზილიელი ფეხბურთელი პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ ის შვებულებიდან დაბრუნებას აუცილებლად დააგვიანებს. ადრიანო სასმელმა და წვეულებებმა გაიტაცა... ასეთი ისტორიები ბრაზილიელებში უამრავია, მაგრამ თქვენ ამ მხრივ არსად გამოჩენილხართ...**

- მე უფრო მშვიდი ადამიანი ვარ. მაგალითად, ძალიან მიყვარს ოჯახში ყოფნა, მეუღლესთან ერთად ტელევიზორის ყურება, კინოში წასვლა და ა.შ. არ ვსვამ, ადრე ვიძინებ და კარნავალი კი, ჩემთვის, საერთოდ, არაფერს ნიშნავს. რთული დასაჯერებელია, მაგრამ ასეა. კარნავალი ჩემთვის ზედმეტი ხმაურია და ესეც არ იყოს, ძალიან ცუდად ვცეკვავ.

**- ამბობენ, ღმერთმა ყველა ბრაზილიელს მისცა ცეკვის ნიჭიო. თქვენ გამონაკლისი ხართ...**

- არა, ცეკვის ნიჭი მეც მაქვს, ოღონდ განსხვავებული - მე მოედანზე ვცეკვავ!

**გოტფრიდ ლენცი**

ენკე მზადაა, ლემანი შეცვალოს

გერმანიის ნაკრები

# რობერტ ენკე ბუნდესგუნდში?

## ლემანს პრობლემები აქვს, ჰილდებრანდი კი ვალენსიაში სკამს ხეხავს...

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** ახალი პრობლემა აქვს - სამეკარეო. 37 წლის **იენს ლემანმა** პრემიერლიგის პირველ ორ ტურში უპატიებელი შეცდომები დაუშვა, ახლა კი ტრავმირებულია და მისი შემცვლელი **მანუელ ალმუნია** შესანიშნავად გამოიყურება, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი შანსია, გერმანელს სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება გაუჭირდეს. მოკლედ, ლემანის საქმე ცუდადაა, ისევე, როგორც ბუნდესგუნდის კარის მეორე დარაჯის, **ტიმო ჰილდებრანდისა**. ეს უკანასკნელი "ვალენსიაში" სათადარიგოთა სკამს ხეხავს, რადგან "ღამურების" ძირითადი გოლკიპერი **სანტიაგო კანისარესია**. ამრიგად, გერმანიის ნაკრების ორივე მეკარეს ემუქრება სკამის ხეხვის საფრთხე, არადა წინ ევროპის ჩემპიონატია. ამიტომაცაა, ლიოვი სერიოზულად რომ ანერვიულდა.

*"8 სექტემბერს, უელსთან შეხვედრაში არაფერს შევცვლი. თუ ლემანი გამოჯანმრთელებას მოასწრებს, უელსში ჩვენი გუნდის კარს სწორედ ის დაიცავს. იმ შემთხვევაში, თუ ლემანს და ჰილდებრანდს სათამაშო პრაქტიკა არ ექნებათ, სერიოზული პრობლემები შეგვექმნება და იძულებულები ვიქნებით, რომ ალტერნატივებზე ვიფიქროთ,"* - აცხადებს ბუნდესმწვრთნელი.

ვინ შეიძლება იყოს ის მესამე, რომელსაც ექნება იმის შანსი, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის კარის პირველი დარაჯის სტატუსით ითამაშოს? პირველი ალტერნატივა, რა თქმა უნდა, "ჰანოვერის" მეკარე **რობერტ ენკეა**, რომელიც ბუნდესგუნდის მესამე კიპერი გახლავთ. მაგრამ გამორიცხული არც ისაა, რომ ლიოვმა ვინმე ახალი გამოიძახოს.

*"ენკე ძალიან გამოცდილი, სერიოზული მეკარეა და მისით ძალიან კამყოფილი ვარ. მის გარდა, ყურადღებით ვაკვირდებით შალკელ მანუელ ნოიერს, ლევერკუზენელ რენე ადლერს, ბრემენელ ტიმ ვიზეს, დორტმუნდელ რომან ვაიდენფელერსა და შტუტგარტელ რაფაელ შეფერს,"* - ამბობს ლიოვი და ამით ხაზს უსვამს იმას, რომ კონკურენცია უდიდესია.

ლემანი აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში **არსენ ვენგერს** დაელაპარაკება. მას სურს, პასუხი მიიღოს კითხვაზე, დაბრუნდება თუ არა ძირირად შემადგენლობაში გამოჯანმრთელების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ვენგერი ამ კითხვას უარყოფით პასუხს გასცემს, ლემანი გუნდიდან გაშვებას მოითხოვს. ჰილდებრანდს კი იმედი აქვს, რომ ამავე სეზონში მოახერხებს კანისარესის დაჯაბნვას, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ძალიან რთული იქნება. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ლიოვი ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანს ისეთ მეკარეებს, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა არ ექნებათ...

## ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუმს

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ "კიოლნის" მთავარ მწვრთნელ **კრისტოფ დაუმს** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. როგორც იცით, 53 წლის სპეციალისტმა ერთი კვირის წინათ მსაჯი შეურაცხყო და განაცხადა, "კიოლნს" რატომღაც განგებ ჩაგრავენ, ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა არბიტრი ჩვენს საზიანოდ ცდებაო. დაუმი იმასაც ამბობდა, ამის დამადასტურებელი საბუთებიც მაქვს და თუ საჭირო გახდა, არაფერს დავმალავო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კონკრეტული არაფერი თქმულა, კრისტოფი კი, თავისი გუნდის უახლოეს ორ მატჩს ტრიბუნებიდან მიადევნებს თვალს. ამასთან, მას 10 000 ევროს გადახდაც მოუწევს.

*"ჰერ დაუმმა ბოდიში მოიხადა და პირობა დადო, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება. ჩვენც, მხოლოდ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა ვაკმარეთ,"* - ამბობს საფეხბურთო კავშირის პროკურორი **ჰორსტ ჰილპერტი**. *"სასჯელი მიღებულია, არ ვაპროტესტებ. გუნდს ჩვეულებრივად მოვამზადებ. მატჩის წინ და შესვენებაზე, ფეხბურთელებთან კავშირი მექნება,"* - აცხადებს დაუმი. არადა, გერმანიის საფეხბურთო კავშირი მწვრთნელის დისკვალიფიკაციის დროს, კრძალავს იმას, რომ მატჩის სტარტამდე 30 წუთით ადრე და შესვენებაზე, მწვრთნელს გუნდთან კონტაქტი ჰქონდეს...

## შტუტგარტს ბეთ ენდ ვინი აუკრძალეს

ტოტალიზატორ "ბეთ ენდ ვინს" გერმანიის სხვადასხვა მხარეებში სხვადასხვანაირი სტატუსი აქვს - პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ზოგ მხარეში ლეგალურ საბუკმეკერო კანტორად ითვლება, ზოგან კი არალეგალურია. ასე, მაგალითად, ბადენ-ვიურტემბერგის სამხარეო სასამართლომ, "შტუტგარტს" "ბეთ ენდ ვინის" რეკლამირება აუკრძალა. მიზეზი: ეს ტოტალიზატორი ხსენებულ მხარეში არალეგალურად მიიჩნევა. ამრიგად, "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" "ბეთ ენდ ვინის" ბილბორდებს ველარ ვიხილავთ. სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების გამო, "შტუტგარტი" სეზონში ერთ მილიონ ევროს კარგავს...

კრისტიან პანუჩი

იტალიის ნაკრები

# დონადონის პანუჩი გაახსენდა

## პრობლემები სკუადრა აძურაში. შეცვლის ამაური ტონის?

8 სექტემბერს, იტალიის ნაკრებს საფრანგეთთან უმნიშვნელოვანესი თამაში ელის. მანამდე, **რობერტო დონადონის** სერიოზული პრობლემები ექნება მოსაგვარებელი. მას დაცვა თითქმის თავიდან აქვს ასაწყობი. **მარკო მატერაცი** და **ფაბიო კანავარო** ტრავმირებულები არიან, **ალესანდრო ნესტამ** კი, ამ სიტუაციაშიც კი, კატეგორიულად გამორიცხა ნაკრებში დაბრუნების შესაძლებლობა.

ასე რომ, დონადონიმ სასწრაფოდ რაღაც უნდა იღონოს. კვირას ის "პალერმო"-"რომას" მატჩს დაესწრო. ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ მწვრთნელის დაკვირვების მთავარი ობიექტი **კრისტიან პანუჩი** იყო. **მარჩელო ლიპისთან** ძველი კონფლიქტის გამო, პანუჩის ნაკრებში სამი წელიწადია არ უთამაშია. რა თქმა უნდა, დონადონის ეჭვი არ ეპარება 34 წლის მცველის შესაძლებლობებში, მაგრამ მას ერჩივნა, "აძურის" მომავალთან ემუშავა. ახლა კი, "დონს" სიტუაცია აიძულებს, მზერა ვეტერანს მიაპყროს. ამას გარდა, პრესა ვარაუდობს, რომ "სკუადრაში" მოხვდება "პალერმოს" ბრაზილიელი ფორვადი **კარვალიო ამაურიც**, რომელსაც იტალიური პასპორტი აქვს. "რენცო ბარბერაზე" დონადონის მისი ნახვის საშუალებაც ჰქონდა. მძიმე ტრავმის გამო, ამაური შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი მთლიანად გაუცდა. "რომასთან" სასტარტო ტურის შეხვედრა ტრავმის შემდეგ მისი პირველი ოფიციალური მატჩი იყო. პრესის შეფასებით, ამაურის განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. თუმცა ვარაუდობენ, რომ დონადონიმ ის შეიძლება ასევე ტრავმირებული **ლუკა ტონის** ნაცვლად მიიწვიოს. მაგრამ ეს ცოტა გადაჭარბებულად მოჩანს, რადგან მნიშვნელოვანი თამაშისთვის სანაკრებო გამოცდილების არმქონე ფეხბურთელზე დაყრდნობა მწვრთნელისგან, ცოტა არ იყოს, გაუმართლებელი რისკი იქნებოდა.

სკანდალის ექო

# ბოდიში არა, ისა...

## ბალდინის ტლინკები ერთთვიან დისკვალიფიკაციად შეფასდა

"კატანიის" მწვრთნელი **სილვიო ბალდინი** თავის პარმელ კოლეგა **დომენიკო (მიმო) დი კარლოს** შეურაცხყოფისთვის ბოდიშს არ მოუხდის. მოკლედ შეგახსენებთ, რომ მატჩის მიწურულს მან ვიზავის წინხლი ამოარტყა. იტალიის საფეხბურთო საზოგადოება მისგან მინიმუმ ბოდიშის მოხდას ითხოვდა. 48 წლის სპეციალისტი კი ამტკიცებს, რომ მას პროვოკაცია მოუწყვეს. თუმცა ისიც ნათელია, რომ ეს მის საქციელს ოდნავადაც არ ამართლებს. ბევრს ეგონა, რომ ბალდინის საერთოდ აეკრძალებოდა უმაღლეს დონეზე სამწვრთნელო მოღვაწეობა, მაგრამ...

*"რა თქმა უნდა, სწორად არ მოვიქეცი და ეს თავიდანვე ვაღიარე, - ამბობს ბალდინი, - ბოდიში? კატეგორიულად ვაცხადებ, რომ დი კარლოს ბოდიშს არ მოვუხდი, რადგან ის ამას არ იმსახურებს. მან პროვოკაცია მომიწყო. პატიებას ვთხოვ კლუბის პრეზიდენტს, მოთამაშეებსა და მთელ ქალაქს, ასევე "პარმის" ფანებსაც, რომლებიც კარგად მიცნობენ".*

პროვოკაცია კი იმაში მდგომარეობდა, რომ დი კარლო ახლოს იდგა და უსმენდა ბალდინის, რომელიც თამაშის შეჩერების მომენტში თავის რამდენიმე მოთამაშეს დარიგებებს აძლევდა. ღირდა თუ არა ეს ყველაფერი ტლინკების ყრად, თავად განსაჯეთ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ კი უკვე განსაჯა ეს საკითხი და ბალდინის ერთთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. მას 30 სექტემბრამდე (5 მატჩი ჩემპიონატში, ერთიც თასზე) არ ექნება თამაშების დროს გუნდთან ერთად ყოფნის უფლება. ამას გარდა, ბატონი სილვიო 15 ათას ევროსაც გადაიხდის.

პარმული ინციდენტის დროს

რაფაელ მარკესი

ატლეტიკო. მოსალოდნელი ტრანსფერი

# მარკესი ვისენტეზე კალდერონზე?

სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე რამდენიმე დღე დარჩა. 31 აგვისტოს 23:59 წუთი ის ბოლო დროა, როცა ამა თუ იმ ფეხბურთელით დაინტერესებულმა კლუბებმა კონტრაქტები უნდა გააფორმონ. დრო მართლაც ცოტაა. ამიტომ ყველა გუნდი ფორსმაჟორულ რეჟიმში მუშაობს. "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა ბარსელონელ კოლეგებთან ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს. მადრიდელებს დაცვის გასაძლიერებლად **რაფაელ მარკესის** გადაბირება სურთ. ესპანურ პრესას თუ დავუჯერებთ, მექსიკელს "როხიბლანკოში" გადასვლამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს. ეს საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც **ხავიერ აგირემ** შაბათის დედაქალაქურ დერბიში დაინახა, რომ მის გუნდს დაცვის ცენტრში მართლაც სერიოზული პრობლემები აქვს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, თავად აგირეს მოსაზრებას გაგაცნობთ: *" რაფა მარკესი იმის გარანტიაა, რომ "ატლეტიკოს" დაცვის ცენტრალური ზონა, ფაქტობრივად, გაუვალი გახდება. მას არა მარტო უკანა ხაზში, არამედ ნახევარ დაცვაში მაღალ დონეზე თამაშის უნარი შესწევს. არაერთხელ გვინახავს, რომ ჩავი ერნანდესთან შეწყვილებულს სასწაულები გაუკეთებია. დაცვაში მის საიმედოობაზე არაფერს ვიტყვი. სენიორ ენრიკე სერესო დამეთანხმა, რომ მარკესი "ატლეტიკოს" დიდად გამოადგება. პრეზიდენტმა ჩიკი ბეგირისტაინთან მოლაპარაკებები წამოიწყო. გაბრიელ მილიტოს "ბარსელონაში" გადაბარგების შემდეგ რაფას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია არ გააჩნია. რაციონალურად თუ ვიმსჯელებთ, "ატლეტიკოში" გადმოსვლა მისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება."*

როგორც გაირკვა, **სერესოსა** და **ბეგირისტაინს** მართლაც ინტენსიური მოლაპარაკებები ჰქონიათ. მადრიდული კლუბის თავკაცი ცდილობს, კატალონიელი კოლეგა საკუთარ წინადადებაზე დაიყოლიოს. "ბარსას" მარკესის სანაცვლოდ ის 12 მილიონ ევროს სთავაზობს. ექსპერტების აზრით, ეს არ არის მცირე თანხა, თუმცა "ბარსელონის" ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ რაფას მხოლოდ 15 მილიონის სანაცვლოდ გაუშვებენ.

ჟულიო ბაპტიშტა

რეალი

# სოლდადო და ბაპტიშტა მიდიან

მადრიდის "რეალში" **არიენ რობენისა** და **ვესლი სნაიდერის** გადასვლის შემდეგ კონკურენცია ერთიორად გაიზარდა. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ **რობერტო სოლდადოსა** და **ჟულიო ბაპტიშტას** ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსები მნიშვნელოვნად შეუმცირდათ. როგორც ჩანს, ამას ფეხბურთელებიც საბოლოოდ მიხვდნენ და საკუთარ მენეჯერებს მწვანე შუქი აუნთეს. შედეგმაც არ დაახანა. სოლდადოს კარიერის "ბანფიკაში" გაგრძელების რეალური შანსი გამოუჩნდა. ახალგაზრდა ესპანელ ფორვარდს ლისაბონელები ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევენ. სოლდადო **მიატოვიჩთან** და **შუსტერთან** შეხვედრას აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური დირექტორი და მთავარი მწვრთნელი იტყვიან, რომ რობერტოს უმეტესი დროის სათადარიგოთა სკამზე გატარება მოუწევს, სოლდადო ქუდს დაიხურავს და "ბენფიკას" შეაფარებს თავს. აბსოლუტურად იგივეს თქმა შეიძლება ბაპტიშტასთან მიმართებაშიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბრაზილიელს "ლივერპული" ეპატიჟება. არაოფიციალური ინფორმაციით, წითელი ეშმაკების შეფები მზად არიან ტრანსფერის სანაცვლოდ 14 მილიონი ევრო გადაიხადონ. ლისაბონელები კი სოლდადოს ხელში ჩასაგდებად, მხოლოდ და მხოლოდ, 8 მილიონს იმეტებენ.

## ლაზარიდისი დეკემბერში დაბრუნდება

ავსტრალიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს **სტენ ლაზარიდისს** ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ის გასული წლის ნოემბერში ჩაგდებული დოპინგ-ტესტის გამო დაისაჯა. მის ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება ფინასტერიდი აღმოაჩინეს. ლაზარიდისი ირწმუნებოდა, რომ ამ ნივთიერებას იმ წამალი შეიცავდა, რომელიც თმის ცვენის შესაჩერებლად გამოიყენა. სტენმა მასში ფინასტერინის არსებობის შესახებ მოგვიანებით გაიგო. "ვესტ ჰემისა" და "ბირმინგემის" ყოფილ ნახევარმცველს სასჯელის ვადა დეკემბერში ეწურება. 35 წლის ლაზარიდისი "პერტ გლორიში" ირიცხება.

## ლუქსენი მადრიდიდან ინგლისში?

"ატლეტიკოს" ნახევარმცველ **პეტერ ლუქსენს** "ბირმინგემ სიტი" ეპატიჟება. ტრანსფერის საკითხი 24 საათში უნდა გადაწყდეს. გასულ კვირაში ფრანგი ლეგიონერით "ნიუკასლიც" დაინტერესდა. ლუქსენის აზრით, მისი მადრიდიდან აბარგების შანსი 50 პროცენტის ტოლია. პეტერს კარიერა საფრანგეთსა და ესპანეთში აქვს გატარებული. ის "ატლეტიკოში" 2004 წლიდან ასპარეზობს.

## პლასილმა მონაკო ოსასუნაზე გაცვალა

ჩეხი ნახევარმცველი **იაროსლავ პლასილი** "ოსასუნაში" გადავიდა. "მონაკომ" მის სანაცვლოდ 2.25 მილიონი ევრო მიიღო. 25 წლის პლასილმა ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ის პამპლონურ კლუბში ირანელ **ჯავად ნეკუნამს** შეცვლის. ამ უკანასკნელმა ვარჯიშისას მუხლის მყესი გაიწყვიტა და სეზონის უმეტეს ნაწილს გამოტოვებს. "ოსასუნამ" პრიმერა დივიზიონის პირველ ტურში "ბილბაოსთან" ბასკური დერბი გამართა, 0:0.

## სმოლიარეკმა ესპანეთი აირჩია

პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელი **ები სმოლიარეკი** სანტანდერის "რასინგში" ჩაირიცხა. მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დორტმუნდის "ბორუსიამ" ფეხბურთელის სანაცვლოდ 4.8 მილიონი ევრო მიითვალა. თანხის 20 პროცენტი სმოლიარეკის ყოფილ კლუბ "ფეიენოორდს" შეხვდება. ები "ვესტფალენშტადიონზე" 2005 წლის იანვარში მივიდა. განვლილ ორნეღლიწადნახევარში მან 81 მატჩი ჩაატარა და 25 გოლი შეაგდო. გასულ სეზონში სმოლიარეკი დორტმუნდელთა სათადარიგო ფეხბურთელი იყო. მისი პოზიციები შვეიცარიელი **ალექსანდერ ფრაის** ტრანსფერმა შეასუსტა.

## ჰერტა რეალს ედავება

ბერლინის "ჰერტა" მადრიდის "რეალს" უჩივის. საქმე ისაა, რომ სამეფო გუნდს გერმანული კლუბის ვალი აქვს - 1 მილიონი ევრო. ეს ის თანხაა, რომელიც "რეალს" "ჰერტასთვის" 18 ნლის **კრისტოფერ შორხის** სანაცვლოდ უნდა გადაეხადა. ტალანტი უკვე მადრიდული კლუბის ღირსებას იცავს, ბერლინელებს კი, თანხა ჯერაც არ მიუღიათ. *"პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მადრიდელებს კონტრაქტის პირობები ჯერ არ შეუსრულებიათ,"* - გაკვირვებულია "ჰერტას" მენეჯერი **დიტერ ჰიონესი**.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰედთბურთი



ზურაბ ტომარაძე

# ვითა გაცოცხლდა!

**2 სექტემბერს, საქართველო-ფინეთის მატჩის დღეს ოფიციალურად შეიკრიბება საკალათბურთო კლუბი "ვითა". წინასწარი ინფორმაციით, იგი ისეთივე ამბიციური იქნება, როგორც 90-იანი წლების ქართული კალათბურთის ფლაგმანი. შეგახსენებთ, რომ "ვითა" 1994 წელს დაარსდა და 1999 წლამდე იარსება. ამ დროში მას ერთხელაც არ დაუთმია საქართველოს ჩემპიონატის ოქროს მედალი და რეგულარულად ასპარეზობდა ევროტურნირებში.**

7-წლიანი ძილის შემდეგ გამოფხიზლებულ "ვითაზე" ჯერ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ "აზოტისა" და "ავიამშენის" ღირსეული კონკურენტი იქნება. დაიბრუნებს თუ არა ძველ დიდებას, ამას მომდევნო წლები დაგვანახებს. თუმცა, უკვე შეგვიძლია ახალი "ვითას" შემადგენლობაზე საუბარი. გუნდს **ზურაბ ტომარაძე** გაწვრთენის. მას ძველი ვითელი, კადეტთა ნაკრების თავკაცი **მიხეილ კობეშავიძე** დაეხმარება. ახალ გუნდში უკვე ჩაირიცხა ორი აზოტელი - **ვაკო ბეჟანიშვილი** და **გიორგი მარკოიშვილი**. დანარჩენებიდან - ახალგაზრდებთან ერთად არაოფიციალურ შეკრებაზე არიან **გიორგი მარხვაშვილი** და **მიხეილ ბერიშვილი**. ამბობენ, რომ შემადგენლობა კიდევ უფრო შეივსება და შეიძლება სულაც ლეგიონერებით გაძლიერდეს.

*"საბოლოოდ გადაწყდა, რომ "ვითა" მომავალ ჩემპიონატში იასპარეზებს. შემადგენლობა ნელ-ნელა იკრიბება და სექტემბერში საბოლოო სახეს მიიღებს. გვინდა, "ვითას" ის სახელი დავუბრუნოთ, რაც 90-იან წლებში ჰქონდა".* - მოკლედ გვითხრა გუნდის მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ.

**"ვითაში" არსებულ შიდა ატმოსფეროზე ვესაუბრეთ გიორგი მარკოიშვილს, რომელიც ბოლო დროს კლუბს თითქმის ყოველწლიურად იცვლის (მხოლოდ სტუ-ში ითამაშა ზედიზედ ორი სეზონი) და ზედიზედ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.**

- მოხარული ვარ, რომ 7-წლიანი შესვენების შემდეგ "ვითა" აღდგა. როცა ეს კლუბი საქართველოს ჩემპიონატებს ერთმანეთის მიყოლებით იგებდა, პატარა ვიყავი და მის თამაშებზე სიარული ძალიან მსიამოვნებდა. მაშინ ყველა ჭაბუკი "ვითაში" მოხვედრაზე ოცნებობდა და არც მე ვიყავი გამონაკლისი. მას შემდეგ დიდი ხნით მომიწია ცდა, ვიდრე "ვითას" მწვრთნელისგან წინადადებას მივიღებდი. როცა ახალ გუნდში თამაში შემომთავაზეს, დაუფიქრებლად დავთანხმდი.

**- პირობებით კმაყოფილი ხარ?**

- ყველა სპორტსმენისთვის მნიშვნელოვანია პირობები და გუნდში არსებული სიტუაცია. ორივე თვალსაზრისით საქმე კარგადაა. მწვრთნელებს, ზურაბ ტომარაძესა და მიხეილ კობეშავიძეს კარგად ვიცნობ, ასევე შემადგენლობაც ნელ-ნელა ძლიერდება და, რაც მთავარია, ახალი სეზონის წინ მეტისმეტად მონდომებულები ვართ. ვაცნობიერებთ, რომ "ვითაში" თამაში დამატებითი პასუხისმგებლობაა.

**- გუნდი რა მიზნებს ისახავს?**

- ისეთივე შემადგენლობა ნამდვილად არ გვეყოლება, მხოლოდ ოთხეულში მოხვედრით რომ დავკმაყოფილდეთ. ყველა ტურნირში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. საამისოდ საკმარისი რეზერვი და გამოცდილება გვაქვს.

**- ახლა სად ვარჯიშობთ?**

- თბილისში, ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში. მართალია მწვრთნელები გვამზადებენ და დიდი დატვირთვებიც გვაქვს, მაგრამ ოფიციალური შეკრება ჯერ არ დაწყებულა - 2 სექტემბრისთვის იგეგმება.

**- ამ ზაფხულს მზადება ეროვნულ ნაკრებთან ერთად დაიწყე. საინტერესოა, როგორ აფასებ ჩვენი გუნდის თამაშს ოფიციალურ მატჩებში?**

- ავსტრიასთან გამოჩნდა, რომ უკანა ხაზში პრობლემები ნაკლებადაა - ზაზა ფაჩულიას პერიმეტრის კალათბურთელებიც კარგად დაეხმარნენ. ავსტრიასთან გვაკლდნენ ვლადიმერ ბოისა და ნიკა ცქიტიშვილი. მათთან ერთად კიდევ უფრო ძლიერი ნაკრები გვეყოლება და არათუ B დივიზიონის, ელიტის ბევრი გუნდის გამწარება შეგვეძლება.

**- შენი ძმის, მანუჩარის ავსტრიასთან თამაშს როგორ შეაფასებ?**

- აქამდე მას ძირითადად მეტოქეთა ლიდერების გაუვნებლება ევალებოდა. "ოლიმპიაში" გატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ კი მანუჩარი შეტევაშიც დინჯი და ნაყოფიერი თამაშით გამოირჩა. ერთმანეთში საუბრისას კმაყოფილება რომ გამოვხატე, თქვა - ბევრი უნდა ვივარჯიშოთ, წინ სერიოზული გამოცდები გველისო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჰეჟბურთი | მსოფლიო ტური

# ქალებმა დაიწყეს

სანკტ პეტერბურგში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყო. ქართული წყვილებიდან შეჯიბრში პირველი ქალთა დუეტი **საქა-რთველო** ჩაერთო. ჩვენმა ფრენბურთელებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთი შეხვედრა გამართეს, მექსიკური დუეტი **რეისი-გახიოლა** დაამარცხეს - 21:13, 21:12 და დღეიდან უკვე ძირითად ტურნირში ითამაშებენ. ვაჟებს შორის გეორ-გია ძირითად ბადეშია და ასპარეზობაში ხვალიდან ჩაერთვება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

დღეს, 23:15. ისლანდია-საქართველო

# ჩრდილოური გამოცდა

*პირველი გვერდიდან*

**ისლანდიის ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო ბრენდონ ბირმინგემია, რომელმაც ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში თბილისში, 22 ქულა დააგროვა. ბირმინგემის თქმით, საქართველოს ნაკრები რამდენიმე ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტის გუნდიდან ნელ-ნელა ძლიერ, შეკრულ გუნდად ჩამოყალიბდა:**

- საქართველოს ნაკრები ერთი წლის წინათც ძლიერი იყო, თუმცა როგორც ჩვენი მწვრთნელები გვეუბნებიან, დღეს ეს გუნდი გაცილებით გაუმჯობესებულ, გუნდურ კალათბურთს თამაშობს, ხოლო ინდივიდუალისტების მხრივ, საქართველოს დეფიციტი არც იქამდე ჰქონია. ასე რომ, ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს.

**- ავსტრიისა და საქართველოს შედარებისას ვის მიანიჭებდით უპირატესობას?**

- ერთთანაც წავაგეთ და მეორესთანაც, თუმცა ფინეთი საქართველოზე აგრესიულ დაცვას თამაშობს და შეტევაში უფრო სწრაფად გადადის, საქართველოს ნაკრებში კი თითქმის ყველაფერი ზაზა ფაჩულიაზეა დამოკიდებული. ყველა შეტევა მასზე ეწყობა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამის პროგნოზირება ადვილია, ფაჩულია იმდენად ჭკვიანი მოთამაშეა, რომ ბურთის მიღების შემდეგ რას გააკეთებს, რთული სათქმელია.

**- რას დაუპირისპირებთ მეტოქეს?**

- ყველაფერს, რაც კი შეგვეძლება. მაყურებლის იმედიც გვაქვს, თუმცა აქ რომ თქვენსავით ბევრი გულშემატკივარი ვერ იქნება, ესეც ფაქტია. ვეცდებით, მაქსიმალურად შევუზღუდოთ სივრცე თქვენს ლიდერებს, ფაჩულიას, ელისს, მარკოიშვილს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ისლანდია**

| მოთამაშე | სმ | დაბ | გუნდი |
|---|---|---|---|
| 4. მაგნუს გუნარსონი | 185 | 1981 | კეფლავიკი |
| 5. ფრიდრიკ სტეფანსონი | 204 | 1976 | ნორდავიკი |
| 6. იაკობ სიგურდარსონი | 192 | 1982 | ლევერკუზენი (გერმანია) |
| 7. ბრინარ ბიორნსონი | 190 | 1988 | ნორდავიკი |
| 8. თორლეიფურ ოლაფსონი | 192 | 1984 | კეფლავიკი |
| 9. კრისტიან იონასონი | 202 | 1984 | ნორდავიკი |
| 10. ალექს ვილგერგსონი | 197 | 1978 | გრანდავიკი |
| 11. ბრენტონ ბირმინგემი | 195 | 1972 | ნორდავიკი |
| 12. ჰელგი მაგნუსონი | 198 | 1982 | ბონკერტი (შვეიცარია) |
| 13. სიგურდურ თორსტეინსონი | 203 | 1988 | გრუნდავიკი |
| 14. ლოვი გუნარსონი | 190 | 1981 | ბაირეუტი (გერმანია) |
| 15. ფანარ ოლაფსონი | 203 | 1978 | რეიკიავიკი |

**საქართველო**

| მოთამაშე | სმ | დაბ | გუნდი |
|---|---|---|---|
| 4. ლაშა გამყრელიძე | 183 | 1986 | აზოტი |
| 5. ვლადიმერ ბოისა | 209 | 1981 | პრიმორიე (რუსეთი) |
| 6. ანატოლი ბოისა | 192 | 1983 | აზოტი |
| 7. ზაზა ფაჩულია | 210 | 1983 | ატლანტა (აშშ) |
| 8. გიორგი ცინცაძე | 192 | 1986 | ტარტუ (ესტონეთი) |
| 9. ვიქტორ სანიკიძე | 203 | 1986 | ესტუდიანტესი (ესპანეთი) |
| 10. კოტე ტულუში | 193 | 1984 | აზოტი |
| 11. მანუჩარ მარკოიშვილი | 196 | 1986 | კიევი (უკრაინა) |
| 12. დავით უბრეხლიძე | 208 | 1983 | აზოტი |
| 13. ვახტანგ ნაცვლიშვილი | 205 | 1976 | დიჟონი (საფრანგეთი) |
| 21. ტაირონ ელისი | 193 | 1977 | კახა (ესპანეთი) |
| 23. ზვიად გაგიაშვილი | 200 | 1978 | ავიამშენი |

## ჩოგბურთი

სოფიო შაფათავა

# შაფათავა ალარ ხუმრობს

18 წლის **სოფიო შაფათავა** წარმატებით ასპარეზობს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი). საკვალიფიკაციო ბადეში ყველაზე ცუდი რეიტინგით მოხვედრილმა შაფათავამ ორი ეტაპი იოლად გაიარა და მესამეშიც ადვილად მოუგო ფრანგ **მაილინ ანდრიუს** (507) - 6:3, 6:4. ანდრიუ შარშან მოწინავე სამასეულის წევრი იყო. სასიამოვნოა, რომ შაფათავა ასეთ ჩოგბურთელებს უკვე ადვილად უგებს. ძირითად ბადეში გასული სოფიო შაფათავა 17 წლის **ეკატერინა კომაროვას** შეხვდა. კომაროვა რუსმა ორგანიზატორებმა "უაილდ ქარდით" მიიწვიეს. რუსმა ქართველს პირველ სეტში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა ტაი-ბრეიკში სოფიომ 7:3 იმარჯვა, მეორე სეტში კი მისი უპირატესობა აშკარა იყო - 7:6, 6:2. მოსკოვის ტურნირის მერვედფინალში შაფათავა მე-4 ნომრად განთესილი სერბის, **ვოისლავა ლუკიჩის** (203) დამამარცხებელ რუმინელ **მიჰაელა ბუზარნესკუს** (384) დაუპირისპირდება. სოფიო შაფათავა ახლა მსოფლიოს 579-ე ჩოგანია, მას ჯერ არ დარიცხვია მოსკოვის 25-ათასიანი ტურნირის მერვედფინალში გასვლის ქულები, ამას ახლანდელი წარმატებული ტურნირიც დაემატება და ქართველი რეიტინგ-ლისტში დიდ ნახტომს გააკეთებს. მოსკოვის ტურნირის შემდეგ შაფათავა, ალბათ, აზერბაიჯანის დედაქალაქში ითამაშებს, სადაც 10-ათასიანი ტურნირის პირველ ნომრად განთესავენ. ბაქოში სოფიოს გარდა ათამდე ქართველ ჩოგბურთელს ელიან.

ეგვიპტეში ვაჟ ჩოგბურთელთა ტურნირში (10 ათასი დოლარი) ძირითადი ბადის პირველ წრეში დამარცხდა 19 წლის **ნოდარ ითონიშვილი**, მან სლოვენიელ **ზორან გოლუბოვიჩთან** (1383) წააგო - 5:7, 7:6, 4:6. ითონიშვილი ეგვიპტელ **იასერ ადელ საიდთან** ერთად ბედს წყვილთა თანრიგში ცდის. მათი მეტოქეები პირველ წრეში ჩვენთვის კარგად ნაცნობი ძმები **მაამუნები, მოჰამედი** და **ქარიმი**, იქნებიან. თბილისში "დევისის თასზე" ნათამაშები ეგვიპტელები წყვილთა თანრიგში პირველ ნომრად განთესეს.

# ქალაშნიკოვას ახალი სიმაღლე

ოქსანა კალაშნიკოვა

გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი - 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** კარიერის მიღწევა ერთი ადგილით გააუმჯობესა, მან **ანა ტატიშვილის** შედეგი გაიმეორა (ახალგაზრდულ რეიტინგში ტატიშვილი ყველაზე მაღლა, მე-19 ადგილზე ავიდა) და ახლა თანამემამულის მიღწევის გაუმჯობესება შეუძლია. კალაშნიკოვა 585 ქულით 18-წლამდელ ჩოგბურთელებში მსოფლიოს მე-19 ჩოგანია. ათასეულში კიდევ ორი ქართველია: **ეკა გორგოძე** (595) და **ანა ჯიქია** (777).

ბიჭებში 143-ე პოზიციაზეა **ლაზარე კუხალაშვილი**, საგრძნობლად წაინია წინ **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**, რომელიც 401-ე ადგილზეა. ათასეულში კიდევ ოთხი ჩვენებურია: **ნიკოლოზ ქურდაძე** (533), **რევაზ ოსაძე** (608), **გიორგი ხმიადაშვილი** (640) და **გიორგი ჭანტურია** (715).

ბოლოს ოქსანა პირველი კატეგორიის ტურნირში მონაწილეობდა. კანადის ღია პირველობა ახალგაზრდული ამერიკის ღია პირველობის გენერალური რეპეტიციაა. მე-8 ნომრად განთესილმა ოქსანამ პირველ წრეში დაისვენა, მეორეში კი მოულოდნელად ბულგარელ **ტანია რაიკოვასთან** წააგო - 3:6, 6:0, 2:6. წყვილთა თანრიგში ოქსანა რუს **ქსენია ლიკინასთან** ერთად კანადის ღია პირველობაზე პირველ ნომრად განთესეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვრობლება

# დრო შეჩერდება...

## ანუ იმის შესახებ, რა საშიშროებაა მოელის ქართულ სპორტს თუკი...

თავიდანვე ვიტყვით, რომ სულაც არ ვაპირებთ ფაქტების გამუქებას, რეალობა გვაიძულებს დავფიქრდეთ და, რაც უფრო ადრე გამოვიტანთ დასკვნებს, მით უფრო შემცირდება რისკი, რომელიც მოსალოდნელი კი არა, გარდუვალია თუ აქედანვე არ შევიტანთ კორექტივებს მიმდინარე პროცესებში.

სპორტი აბსტრაქტული ცნება არ არის, მისი გამიჯვნა არც საერთო ცხოვრებიდან შეიძლება და არც იმაზე მეტი მოეთხოვება, ვიდრე თვით ცხოვრების დონეა. ფაქტია, რომ რაც უფრო ძლიერია ქვეყანა, მით უფრო მეტი პრეტენზია გააჩნია მას სპორტში მსოფლიო ბატონობაზე. გახსოვთ ალბათ, თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვები: ქვეყნის სიძლიერე დღეს ოლიმპიური ჩემპიონებისა და რაკეტების რაოდენობით განისაზღვრებაო. ასეა, ნებისმიერ კონტინენტზე, ნებისმიერ ქვეყანაში, ცხოვრების საერთო დონის ამაღლების კვალობაზე მიიწევს წინ სპორტი. ეს აქსიომაა.

გვინდა, არ გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ხელმეორედ იდგამს ფეხს უნიკალური ფენომენი, რასაც სპორტი ჰქვია. წარმატებები, რომელიც გაგვაჩნდა გასული საუკუნის მეორე ნახევრაში, ისტორიას ჩაბარდა. თუმცა ეს ისეთი მონაპოვარია, დავიწყებას რომ არასდროს მიეცემა, ადგილს ერის სულიერ საგანძურში იმკვიდრებს და მუდამ თვითრწმენის სტიმულს მისცემს თაობებს.

ქართული სპორტის მეორე სიცოცხლე ათვლას იწყებს თვით ქვეყნისა და ერის ცხოვრების განახლებიდან -დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აბსოლუტურად ყველა სფერომ განიცადა აპოკალიფსი, ანუ ყველაფერი ჭეშმარიტად მისტიკურად დასრულდა. იყო თუ არა ის, რაც მოხდა ქართულ სპორტში, გარდუვალი? ამ კითხვაზე პასუხს ვიდრე გავცემდეთ, ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ თუკი საქართველოში რომელიმე სფერომ, ბოლო წლებში, ასე თუ ისე, გაიხანგრძლივა სიცოცხლე და ერთბაშად არ იქცა მოგონებად, იყო ქართული სპორტი.

უნებლიედ ამოტივტივდა გონებაში პარალელი. ასე იყო, გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისშიც. მაშინ, საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოების ეპოქაში, სპორტში მოღვაწე ერისკაცებმა ყველაფერი იღონეს მონაპოვრის დასაცავად. მართალია, მერე და მერე გასაბჭოებამ თავისი გაიტანა, მაგრამ ჩვილი უკვე აკვნიდან იყო გადმოსული და ფეხადგმული. ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ასეთივე ერისკაცი იყო ყველა, ვინც განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, უმძიმესი პერიოდის მიუხედავად, ქართულ სპორტს დაუდგა ჯარისკაცად.

გვახსენდება ის დროც, როცა თბილისის სპორტის სასახლეში გვარდიელები იყვნენ დაბანაკებულები ჩვენ კი, ახალშექმნილი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების ორანიზატორებმა, საქართველოს პირველი სპორტული თამაშების ჩატარება დავგეგმეთ. სამოქალაქო ომის დროს ფეხბურთშიც არ შეწყვეტილა ეროვნული ჩემპიონატი, სხვა სპორტული შეჯიბრებები, არ შეუჩერებია მუშაობა სპორტულ სექციებს. გამოვდიოდით საერთაშორისო სარბიელზე. მოკლედ, ქართულ სპორტში დრო არ შეჩერებულა. იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენი სპორტული სამყარო ტრადიციებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, ცხადია, შეძლებისდაგვარად. და მაინც, სისტემა ნელ-ნელა იშლებოდა. სპორტსმენთა მზადებას ვგულისხმობთ, უკვე ქართული სპორტი ის აღარ იყო, რაც ადრე, მაგრამ მაინც სულდგმულობდა, რაც მთავარია, იმის იმედი არ გამქრალა, რომ არც ერთი ხელისუფლება ჩვენ ეროვნულ სიამაყეს ზურგს არ შეაქცევდა. მართლაც, ხელაღებით არავის უარუყვია ქართული სპორტის ფენომენის მნშვნელობა, თუმცა თავჩენილი ბზარი თანდათან გადაიზარდა რღვევა-ნგრევაში. ეს შესაბამისად კიდეც აისახა ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის სარბიელზე გამოსვლების შედეგებზე.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ არაერთგზის ნათქვამი: ვარდების რევოლუციის შემდეგ დამოკიდებულება ქართული სპორტის მიმართ თვალსაჩინოდ შეიცვალა. დავკონკრეტდებით და ვიტყვით, რომ უპირველესად ეს შეეხო სპორტულ ბაზებს. არ ყოფილა თანამედროვე ქართული სპორტის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში უფრო აქტიური მხარდაჭერა სპორტისადმი. უპირველესად ეს შეეხო სპორტულ ბაზებს - გაჩნდა როგორც უამრავი ე.წ. მარტივი ტიპის საყოველთაო-სახალხო სარგებლობის სპორტული მოედნები, ისე სრულყოფილი სპორტული ბაზები, განსაკუთრებით ჭიდაობებისთვის და უფრო გამოკვეთილად ძიუდოსთვის. თუ რატომ, არც არის საკითხავი - პრიორიტეტს ხომ შედეგები განსაზღვრავს. გრანდიოზული სპორტული კომპლექსებიც განახლდა და კეთილმოეწყო. რაც მეტი, მით უკეთესი. აი, აქ კი ტემპი ნამდვილად მოსაწონია.

ობიექტურობა გვავალდებულებს ისიც ვთქვათ, რომ სპორტული ბაზების პარალელურად, ვითარება სრულიად განსხვავებულია თვით ათლეტთა და რეზერვის მზადების საქმეში. ბალანსი დაირღვა და სალდოც სულ სხვა მივიღეთ. იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ პატრიოტი სპორტის მუშაკები აღარ გვყავს. თუმცა, ცხოვრებამ ბევრი მათგანი, მართალაც, აიძულა ლუკმაპური სხვა სფეროში მოეძია. ბევრმა კი გაუძლო და დღემდე უძლებს გაჭირვებას. კადრებსა და ამ სფეროში თავჩენილ პრობლემებს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. ჯერ მთავარზე, თვით სისტემაზე ვთქვათ.

ეს ბერძნული სიტყვა, რომელიც მრავალ ენაშია დამკვიდრებული, გარკვეულ წესრიგსაც ნიშნავს, პრინციპების ერთობლიობასაც, დაჯგუფება-კლასიფიკაციასაც, რისიმე მოწყობის ორგანიზაციულ ფორმასაც, ორგანიზაციულად გაერთიანებასაც... ახლა თავად განსაჯეთ, უსისტემობა რას ნიშნავს და რა შედეგს მოიტანს. სისტემა, თუ ის თანმიმდევრული და მწყობრია, უპირველესად წარმატების გარანტს ნიშნავს.

გვაქვს კი ქართულ სპორტში ასეთი სისტემა? უკეთეს შემთხვევაში, გვაქვს რაღაც მინამსგავსი, ლოკალური, მაგრამ არა ერთიანი და სრულყოფილი. სამწუხაროდ, ამაზე არც არავინ ზრუნავს, დრო კი გადის. ვინც უნდა ფიქრობს, აღარ ჩანს შემოქმედებით არეალში, მეცნიერული კვლევა-ძიება შეჩერებულია, ხელმძღვანელ სპორტულ უწყებებში საორგანიზაციო მუშაობის განყოფილებები, რომლებიც ამ საკითხსაც კურირებდნენ, გაუქმდა. ის ამბავიც მიეცა დავიწყებას, როცა სპეციალისტები კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ერთმანეთს მიღწევების გამოცდილებას უზიარებდნენ.

ტემპი უცხო რამ არ არის სპორტისთვის, პირიქით, უხდება კიდეც, და სიცოხლისუნარიანობასაც მატებს, მაგრამ, ტემპში რაღაც, მით უფრო მთავარი, არ უნდა დაიკარგოს. დიახ, ვჩქარობთ, და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ვჩქარობთ მხოლოდ სიკეთის შეგნებით, თუმცა ნაკლებად ვფიქრობთ შედეგზე. ყოველ შემთხვევაში, ასე მოჩანს. სიბრძნე გვასწავლის: "იჩქარე, აუჩქარებლად!" აი, რა არის მთავარი. საქმე, სიჩქარით გასრულებული, ყოველთვის ვერ იქნება მოსწანონი. შეიძლება ვერ გათვალო და იაღლიში მოგივიდეს, ვთქვათ, შადრევანი იქ ამოაჩქეფ-ამოაჩუხჩუხო, სადაც თურმე სულაც არ არის შესაფერისი ადგილი გარემოებათა გამო. ამ შეცდომის გამოსწორება, ბოლოს და ბოლოს, სხვაგან მისი გადატანითაც შეიძლება. მაგრამ სპორტი შადრევანი არ არის, ვერც სხვაგან გადაიტან და ვერც დაშვებულ შეცდომას გამოასწორებ უმტკივნეულოდ. ყოველ შემთხვევაში, დიდი დრო და რუდუნებაა საჭირო, დანაკარგი რომ აანაზღაურო. უფრო საგანგაშო კი ის არის, რომ ასეთ დროს, თვალსა და ხელს შუა, თაობათა შორის თანმიმდევრობა და მემკვიდრეობა იკარგება. ვფიქრობთ, დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას სპეციალისტებისგან შემდგარი მობილური ჯგუფი, რომელიც ზემოხსენებული პრობლემის მოგვარებაზე იმუშავებს. ამოცანა გარკვეულია: უარი ვთქვით ძველ სისტემაზე? დავდოთ სანაცვლო, ახალი. ამოსავალი წერტილიც არის - კონცეფცია, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ შეიმუშავა და რეალიზებას უფრო ფართო მასშტაბურსა და კომპლექსურს ელოდება.

ახლა ისევ კადრებს დავუბრუნდეთ. თავი და თავი ყველა საქმეში და, რაღა თქმა უნდა, სპორტშიც, კადრებია. სისტემაზე რომ ვლაპარაკობდით, კადრების გაუთვალისწინებლად აქაც არაფერი გამოვა. მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტებს ხელეწიფებათ, მრავალთაგან უტყუარად გამოარჩიონ ტალანტები, ქართული სპორტის საიმედო ცვლა. სისტემაში მოქცევა და გონივრული მიდგომა, განსაკუთრებით, ბავშვთა სპორტს ესაჭიროება. სისტემის სათავე კი უნდა იყოს სკოლამდელი დაწესებულებები, მერე სკოლა და სხვა ყველა სახეობის ზემდგომი სასწავლებელი. შეგაძრწუნებთ ფაქტების კონსტატაცია - სასურველი ვითარება არსად, ზემოხსენებულ არც ერთ რგოლში არ არის. თვითდინება კი, არ კვებავს, პირიქით, აშრობს და ფიტავს, ქართულ სპორტს, "დიდი გვალვაა" მოსალოდნელი, დროის შეჩერებაა გარდუვალი, საშველს თუ დროზე არ ეშველა.

ცალკე თემაა, მაგრამ ერთ ჯაჭვში მოსააზრებელ-განსახილველია სპორტული სკოლები, რომელთა ბედი დღეს იმდენად გაურკვეველია და ბუნდოვანი, რომ, რაც ივარაუდება, ღიმილის მომგვრელია მხოლოდ. გასხვისდება ბავშვთა სპორტსკოლები. საგანგაშო არაფერია ამაში, თუკი ყველაფერი ბავშვთა სპორტის სასიკეთოდ შეიცვლება. მაგრამ შეიცლება კი? აი, რა აფიქრებს სპეციალისტებს. ახლა ისიც ვნახოთ, თუ რას ემყარება სპეციალისტთა სკეპტიციზმი. ჯერ ერთი - თუ მეპატრონე ფულს ჩადებს, მან თანხა უნდა ამოიღოს კიდეც, თანაც მოგებით. აქ ისმის მთავარი კითხვა: ვის ხარჯზე? ცხადია, მომეცადინეები იგულისხმება. თუ განგებ არ ავუვლით გვერდს რეალობას და ვიტყვით, რომ სპორტი მდიდრებს გასართობად უნდათ, ღარიბებს ცხოვრების უზრუნველსაყოფად, გასაგები გახდება რასთან გვაქვს საქმე. ღარიბი ფულს ვერ გადაიხდის, მდიდარი დიდი სპორტისთვის თავს არ შეიწუხებს და ამქვეყნიურ სიამოვნებებს არ მოიკლებს. განა, ბევრი ვიცით ისეთი შემთხვევა, როცა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს დიდ სპორტში უასპარეზიათ? ის ერთი-ორიც სპორტის ელიტარულ სახეობაში გამოსულა, თანაც უკვე ასაკში, რადგან სპორტი მისთვის მთელი ცხოვრება გატაცება იყო.

მეორე - ამბობენ, მეპატრონე დიდ ფულს რომ ჩადებს, 10 წლის შემდეგ სპორტული ბაზისთვის პროფილის შეცვლის უფლებას, უბრალოდ არ გამოიყენებსო. აბსურდია, ეს. ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ იმ 10 წელიწადში ბიზნესი მომგებიანად აეწყობა. სავარაუდო მიზეზებზე უკვე ვთქვით. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ასეც მოხდეს: სპორტული ობიექტის მფლობელი, თუ უფრო სარფიანი შემოსავლის მიღებაზე აიღებს გეზს, მეცადინეობის საფასურს ხელოვნურად გააძვირებს, ან ათას მიზეზს მოუხმობს და ობიექტს ფუნქციას შეუცვლის. რა ვქნათ მაშინ? სხვა საბავშვო დაწესებულებებშიც მოქმედებს გადასახადები. შეიძლება სახელმწიფომ სპორტში გასცეს ვაუჩერები, მაგრამ ეს სიკეთე პერსპექტიულთა ხვედრი იქნება მხოლოდ. სხვას, დანარჩენს, რა ეშველება? მასობრიობა, რომელიც ოსტატობის საწინდარი იყო და იქნება მუდამ, ვაუჩერებით ვერასგზით ვერ მიიღწევა. მაშასადამე, დაეცემა ოსტატობის დონეც და ხარისხიც, საბოლოო ჯამში, ადრე მოპოვებული სპორტული ჯილდოები და ოდესღაც საამაყო ტრადიციები დარჩება მოსაგონებლად და თავმოსაწონად.

ჩვენ ის ვთქვით, რასაც ვფიქრობთ და რასაც სხვებიც ფიქრობენ - ისინი, ვისაც ქართულ სპორტში ათეულობით წლები უღვაწიათ და საკეთე მოუტანიათ ქვეყნისთვის. პრობლემები, რაღა თქმა უნდა, ზემოთქმულზე გაცილებით მეტია, მაგრამ რაზედაც მკითხველის ყურაღდება ვითხოვეთ, ისიც საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: თუ დროულად არ იქნა გატარებული გონივრული ღონისძიებები, ქართულ სპორტში დრო შეჩერდება.

ეს კი დაუშვებელია!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## მსოფლიო ჩემპიონატი

# კენიურ-რუსული დღე

გერდ კანტერი ოქროს ტყორცნას ასრულებს

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც იაპონიის ქალაქი ოსაკა მასპინძლობს, გუშინდელი დღე კენიელი და რუსი სპორტსმენების დომინაციით აღინიშნა. ორივე ქვეყნის მძლეოსნებმა ორ-ორი ოქროს მედლის მოპოვება შეძლეს. ამასთან, თითოჯერ მათ კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს. თითო ოქროს დასჯერდნენ ესტონელი და ამერიკელი სპორტსმენები.

რუსებს რომ სიგრძესა და ჭოკით ხტომებში ოქროს ვერავინ წაართმევდა, ეს მძლეოსნობის მოყვარულებისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. **ელენა ისინბაევა** და **ტატიანა ლებედევა** ხომ ტურნირებს თითქმის არ აგებენ. არც ვაჟების სტიპლჩეიზში კენიელთა ტრიუმფი გააკვირვებდა ვინმეს. სამაგიეროდ, 800 მეტრზე ქალების სირბილში კენიელი **ჯანეტ ჯეპკოსგეის** გამარჯვება მოულოდნელობა აღმოჩნდა. არა იმიტომ, რომ მის შესაძლებლობებში ვინმეს ეჭვი ეპარებოდა. არამედ იმიტომ, რომ ფინალში გამორჩეული ფავორიტი ლეგენდარული მოზამბიკელი **მარია ლურდეს მუტოლა** იყო.

ისინბაევამ, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა, თავისივე რეკორდის (5.01 მეტრი) გაუმჯობესება სცადა - თამასა 5.02 მეტრზე დაადებინა. მაგრამ ამ სიმაღლეს სამივე ცდა ტყუილად შეალია. შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად მის მცდელობებს ენთუზიაზმიც აკლდა. ალბათ იმიტომ, რომ წინდაწინ იცოდა, რომ ამჯერად, ახალი რეკორდით თავის ქომაგებს ვერ გაახარებდა.

რუსი სუპერმხტომელის საჩემპიონო სიმაღლე ამჯერად 4.80 მეტრი გახდა. ამით მან მხოლოდ ხუთი სანტიმეტრით აჯობა მეორეზე გასულ ჩეხ **კატერინა ბადუროვას**. მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, რუსი **სვეტლანა ფეოფანოვა**, ვინც ასევე 4.75 მეტრზე გადახტა, თუმცა ამისთვის ჩეხზე მეტი ცდა შეასრულა.

*"რაც მთავარია, გავიმარჯვე. თუმცა, რეკორდს რომ ვერ შევწვდი, ამით მაინც გაწბილებული დავრჩი. იქნებ, ეს იმის ბრალია, რომ საჩემპიონო და რეკორდულ სიმაღლეებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა და კარგი იქნებოდა, თუ შუალედურ სიმაღლეებზეც მოვსინჯავდი ძალას. მაგრამ ამისთვის დამატებით ცდებს არავინ მომცემდა. რა თქმა უნდა, სიცხემაც უარყოფითად იმოქმედა"*, - განაცხადა ისინბაევამ, ვინც 4.80 მეტრი მეორე ცდაზე აიღო და ამის აღსანიშნავად, უკულმა ყირა შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო სამ სეზონში ისინბაევას მხოლოდ სამი ტურნირი აქვს წაგებული. თუმცა, ბოლოს რეკორდი ორი წლის წინ დაამყარა. მართალია, ეს ორი სეზონი რეკორდებს ვეღარ სწვდება, მაგრამ არც ტურნირებს აგებს და ოსაკაშიც გამორჩეულ ფავორიტად ჩავიდა.

■ ■ ■

ლებედევას სპეციალობა სამხტომია. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები ამ დისციპლინაში მან 2001 და 2003 წლებში მოიპოვა, მერე კი სიგრძეზე ხტომაშიც დახელოვნდა, სადაც რუს სპორტსმენებს ათი წელიწადია, მსოფლიო ჩემპიონი არ ჰყოლიათ. რუსმა მხტომელმა ორჯერ იდენტური ნახტომი (7.03 მეტრზე) შეასრულა და უკან მოიტოვა თავისი თანამემამულეები, **ლუდმილა კოლჩანოვა** და **ტატიანა კოტოვა**. რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ორმა სანტიმეტრმა დააშორა.

ჩემთვის სიგრძეზე ხტომაში გამოსვლა ერთგვარი მოთელვა იყო, მთავარი კი კვლავ სამხტომია, სადაც ასევე ვაპირებ გამარჯვებასო, - ნაასპარეზევს განაცხადა 31 წლის ლებედევამ.

სხვათა შორის, ბოლო ცდამდე რუსთა ტრიუმფს არავინ ელოდა, რადგან იმ დროისთვის მეორე შედეგი პორტუგალიელ **ნაიდე გომეშს** ჰქონდა. შემდეგ კოტოვა 6.90 მეტრზე გადახტა და თითქოს, მას ზედიზედ მეოთხე ვერცხლიც უნდა აეღო, მაგრამ ამას კოლჩანოვას 6.92-მეტრიანი ნახტომი მოჰყვა...

■ ■ ■

400 მეტრზე ვაჟების თარჯრბენში მთავარი ფავორიტი ოლიმპიური ჩემპიონი, დომინიკელთა რესპუბლიკელი **ფელიქს სანჩესი** იყო, ვისაც კონკურენციას სამი ძლიერი ამერიკელი უწევდა. თუმცა, ფინალში სამიდან მხოლოდ ორი გავიდა - ნახევარფინალში ხელი მოეცარა მსოფლიოს ან უკვე ყოფილ ჩემპიონ **ბერშონ ჯექსონს**, ვინც ფინალის საგზურის მოპოვების შანსი მაშინ დაკარგა, როცა ბოლო წინაღობაზე წაბორძიკდა.

სტარტიდან ყველაზე მაღალი ტემპი ამერიკელმა **ჯეიმს კარტერმა** აკრიფა, ვისაც წინა ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ ბოლო 150 მეტრზე ის ძალიან დაიღალა და გამარჯვებას ვინ ჩივის, კვარცხლბეკზე ასვლაც ვეღარ შეძლო. სამაგიეროდ, ფინიშის ხაზი პირველმა მისმა თანამემამულე **კერონ კლემენტმა** გადაკვეთა, რომელმაც სანჩესიცა და ბევრისთვის (მისთვისაც) მოულოდნელად, მესამეზე გასული პოლონელი **მარეკ პლავგოც** აშკარად დაჯაბნა. სხვათა შორის, ჰელსინკის მუნდიალზე კლემენტმა კვარცხლბეკზე ასვლაც ვერ შეძლო.

■ ■ ■

ფავორიტმა ვერც ვაჟების ბადროში გაიმარჯვა. აქ ყველა ელფერი **ვირგილიუს ალეკნას** გამარჯვებას ელოდა, ვინც ოსაკაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის რანგში ჩავიდა (ის ასევე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონიცაა). მაგრამ ლიტველმა, ვისაც ბოლო ორი სეზონია, წაგების სიმწარე არ განეცადა, ამჯერად ტიტულის დაცვა ვეღარ შეძლო. გამარჯვებას ვინღა ჩივის, ის მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

მსოფლიო ჩემპიონი კი ესტონელი **გერდ კანტერი** გახდა, ვინც ყველაზე მეტად მიუახლოვდა 70-მეტრიან ზღვარს. სხვათა შორის, ამ სეზონში ეს ზღვარი მხოლოდ მას აქვს გადალახული (72.02 მეტრი). მოგვიანებით ჩემპიონმა განაცხადა, მესამე ცდაზევე მივხვდი, რომ ჩემპიონი გავხდებოდიო. თუმცა, ამის მიუხედავად, მან მაინც ბევრი ინერვიულა. აბა რა იქნებოდა - წინა ჩემპიონატზეც ხომ ბოლო ცდამდე ლიდერი იყო, მაგრამ შემდეგ ალეკნამ ჩამოაქვეითა.

ადრე თუ გვიან, ხომ უნდა წამეგო. ჰოდა, ეს ახლა მოხდა. რევანშის აღებას პეკინში ვეცდებიო, - განაცხადა ალეკნამ, ვინც 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (სევილია) შემდეგ, პირველად ვერ შეძლო გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ასვლა. სხვათა შორის, ასპარეზობის შემდეგ ჩემპიონმა განაცხადა, ალეკნა ფორმაში არაა და ჩემი გამარჯვებაც უფრო ამის შედეგია, პირადად მე, მას მსოფლიოს საუკეთესო ბადროს მტყორცნელად მივიჩნევო!

■ ■ ■

800 მეტრზე სირბილში, სტარტიდანვე დანინაურდა კენიელი ჯანეტ ჯეპკოსგეი, ვისაც ფინიშამდე ტემპი არ დაუგდია. მისგან განსხვავებით, თავიდან გაუჭირდა მსოფლიოს სამგზის (1993, 2001 და 2003 წლების) ჩემპიონ მუტოლას, მაგრამ მეორე წრეზე მოზამბიკელმა საგრძნობლად გაზარდა ტემპი და ბოლო სწორზე ლიდერის დაწევასაც აღარაფერი უკლდა, როცა მან ასპარეზობა შეწყვიტა.

ჯეპკოსგეი პირველი კენიელია, ვინც ამ დისტანციაზე გამარჯვება შეძლო. სხვათა შორის, ნახევარფინალში მან სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა და ეს შედეგი ფინალში თავადვე გააუმჯობესა.

■ ■ ■

სტიპლჩეიზში გამარჯვება კი ოლიმპიური ვერცხლის მფლობელმა, კენიელმა **ბრიმინ კიპროპ კიპრუტომ** მოიპოვა, რომელიც ფინიშთან თავის ორ თანამემამულეს, მათ შორის, ოლიმპიურ ჩემპიონ **ეზეკეი კემბოისაც**, მიუძღვა. კემბოი, ისევე როგორც წინა ჩემპიონატზე, ამჯერადაც ვერცხლს დასჯერდა. არადა, ფინიშამდე 150 მეტრით ადრე, მას ჯერაც ჰქონდა გამარჯვების იმედი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი
### ოსაკა (იაპონია), მე-4 დღე

**3000 მეტრზე სტიპლჩეიზი. კაცები**

| | |
|---|---|
| 1. ბრიმინ კიპროპ კიპრუტო (კენია) | 8:13.82 |
| 2. ეზეკიელ კემბოი (კენია) | 8:16.94 |
| 3. რიჩარდ კიპკემბოი მატელონგი (კენია) | 8:17.59 |
| 4. მუსტაფა მოჰამედი (შვედეთი) | 8:19.82 |
| 5. ბუაგდალა ბარი (საფრანგეთი) | 8:20.27 |

**800 მეტრი. ქალები**

| | |
|---|---|
| 1. ჯანეტ ჯეპკოსგეი (კენია) | 1:56.04 |
| 2. ჰასნა ბენჰასი (მაროკო) | 1:56.99 |
| 3. მაიტე მარტინესი (ესპანეთი) | 1:57.62 |
| 4. ოლგა კოტლიაროვა (რუსეთი) | 1:58.22 |
| 5. ბრიგიტა ლანგერჰოლცი (ლიხ.) | 1:58.52 |

**ყოკით ხტომა. ქალები**

| | |
|---|---|
| 1. ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 4.80 |
| 2. კატერინა ბადუროვა (ჩეხეთი) | 4.75 |
| 3. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) | 4.75 |
| 4. მონიკა პირეკი (პოლონეთი) | 4.75 |
| 5. ვანესა ბოლაკი (საფრანგეთი) | 4.70 |

**ბადროს ტყორცნა. კაცები**

| | |
|---|---|
| 1. გერდ კანტერი (ესტონეთი) | 68.94 |
| 2. რუბერტ პრატნიკი (გერმანია) | 66.68 |
| 3. რუტგერ სმიტი (პოლანდია) | 66.42 |
| 4. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) | 65.24 |
| 5. გაბორ მატე (უნგრეთი) | 64.71 |

**სიგრძეზე ხტომა. ქალები**

| | |
|---|---|
| 1. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) | 7.03 |
| 2. ლუდმილა კოლჩანოვა (რუსეთი) | 6.92 |
| 3. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) | 6.90 |
| 4. ნაიდე გომეში (პორტუგალია) | 6.87 |
| 5. ბიანკა კაპელერი (გერმანია) | 6.81 |

**400 მეტრი თარჯრბენი. კაცები**

| | |
|---|---|
| 1. კერონ კლიმენტი (აშშ) | 47.61 |
| 2. ფელიქს სანჩესი (დომინიკ. რეს.) | 48.01 |
| 3. მარეკ პლავგო (პოლონეთი) | 48.12 |
| 4. ჯეიმს კარტერი (აშშ) | 48.40 |
| 5. დენი მაკფარლეინი (იამაიკა) | 48.59 |



ისინბაევას სამივე სარეკორდო ცდა გაუცუდდა



**29 აგვისტო. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:20 სპორტის ისტორია.
11:30 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-ლოს ანჯელესი.
13:15 ფეხბურთი. Barca TV.
13:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბელენენსეში-ბრაგა.
15:10 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
15:40 ფეხბურთი. Barca TV.
15:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ჭერდერი.
17:30 აფროსნობა. ამერიკის თასი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლივორნო.
19:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. Barca TV.
20:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 სპორტის ისტორია.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე.
01:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
02:40 ფეხბურთი. Barca TV.
02:50 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
03:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-ლოს ანჯელესი.
05:00 სპორტის ისტორია.
05:20 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბელენენსეში-ბრაგა.

**EUROSPORT**

09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე.
10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტანჯარობის კლასში.
12:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე.
13:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. ოსაკა. იაპონია.
14:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. ოსაკა. იაპონია (LIVE).
17:30 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბენილუქსის ტური. VII ეტაპი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. II დღე.
19:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
20:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. მიმოხილვა. ოსაკა. იაპონია.
21:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. III დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდეელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდეელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა (LIVE).
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდეელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა.
18:00 ლაკროსი. ფინალი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ნინასწარი ეტაპი. I მატჩი. ბრაგა (პორტუგალია)-ბარსელონა (ესპანეთი).
23:30 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 რალი. ახალი სერია IRC. ჩეხეთი.
02:00 ახალი ამბები.



**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**III საკ. ეტაპი. II მაგჩები**

**სრ. ზეპლდა-რეინჯერსი 0:0 (0:1)**

**ცრვენა ზვეზდა:** რანჯელოვიჩი, ანჯელკოვიჩი, ბასტა, გუეიე, ბურკანოვიჩი (71. ბარკოში), კასტილიო, კორომანი, ლუკაში, მილიაში (74. რაშკოვიჩი), ტუტორიჩი, ჯორჯევიჩი.

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, კუელიარი, ჰატონი, ბაპაჩი, უეირი, უოტკერი (79. ბიზლი), ფერგიუსონი, ემდანი, მაკქალოხი, ტომსონი, დარშეილი (70. კუზენი).

**გაფრთხილება:** 4-2
**მაყურებელი:** 47 012

**დინამო (ბ)-ლაციო 1:3 (1:1)**

**დინამო:** ლობონტი, ბლეი, ნასტასე, პულაკი, რადუ, კრისტეა, მარგარიტესკუ (59. ნიკულესკუ), როპოტანი, ბრატუ, დანჩულესკუ (71. მუნტეანუ), ოპრიცა (59. ეიაჩუ).

**ლაციო:** ბალოტა, კრიბარი, სტენდარდო (35. სკალონი), ძაური, დე სილვესტრი, მანფრედინი, ლედესმა, მუდინგანი, დელ ნერო (86. ბელერი), პანდევი (90. ტარე), როკი.

**გოლები:** 1:0 ბრატუ (29), 1:1 როკი (47), 1:2 პანდევი (55), 1:3 როკი (67)
**გაფრთხილება:** 1-1
**მაყურებელი:** 48 000

**ლივერპული-ბულუზი 4:0 (1:0)**

**ლივერპული:** რეინა, აგერი (81. ფინენი), არბელოა, ჰი

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ჩემპიონატზე მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყო და პირველ ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ლიდერებმა - ამერიკის და არგენტინის ნაკრებებმა.

მასპინძელთა მეტოქე მექსიკის ნაკრები იყო. ამერიკელებმა ამჯერად 27 ქულით გამარჯვება იკმარეს. ანგარიშში სხვაობა შეიძლება უფრო მეტიც ყოფილიყო, მაგრამ მექსიკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბოლომდე იომეს და იმდენი მოახერხეს, რომ 100 ქულა ჩაუგდეს "დრიმ თიმს".

ამერიკამ პირველ მეოთხედში სენსაციური კალათბურთი ითამაშა და ტყორცნების 80 პროცენტი ზუსტად შეასრულა. **მაიკ კრუიუევსკის** ბიჭების ანგარიშზე 10 წუთში 45 (!) ქულა მოდიოდა. შესაძლოა ეს იმით იყო განპირობებული, რომ კრუიუევსკიმ სასტარტო ხუთეულში ორი ცვლილება განახორციელა: **ჯეისონ კიდის** ნაცვლად მოედანზე **ჩონსი ბილაპსი** გაიყვანა, ხოლო **დუაიტ ჰოვარდს** კი, **ამარე სტაუდმაიერი** ამჯობინა.

ამერიკელთა დამრიგებლისთვის ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მექსიკის ნაკრებს სათავეში უდგას **ნოლან რიჩარდსონი**. ეს ის მწვრთნელია, რომელმაც 1994 წელს, NCAA-ს ლიგის ფინალში თავისი "არკანზასით" კრუიუევსკის "დიუკი" დაამარცხა. ამჯერად, აშშ-ის თავკაცს არ გასჭირვებია სრულფასოვანი რევანშის აღება.

გამარჯვებულთა რიგებში 28 ქულით ყველაზე შედეგიანი **კარმელო ენტონი** გახდა. "დენვერის" კალათბურთელმა ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირებზე თავისი გუნდისთვის შედეგიანობის რეკორდი გაიმეორა, რომელიც 2003 წელს, **ალენ აივერსონმა** დაამყარა. სხვათა შორის, ამ 28 ქულიდან 16, ენტონიმ პირველ მეოთხედში ჩააგდო.

მიუხედავად პირველ მეოთხედში მოპოვებული უდიდესი უპირატესობისა, მატჩში იყო ერთი მომენტი, როცა მექსიკამ ჩამორჩენა 14 ქულამდე დაიყვანა, თუმცა რიჩარდსონის შეგირდებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს.

უპრობლემოდ მოიგო ზედიზედ მეხუთე მატჩი არგენტინამ. მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა შორი მანძილიდან ტყორცნებით დაბომბეს ვენესუელა. მათ 14 სამქულიანი (26 სროლიდან) ჩააგდეს და საბოლოოდ, არგენტინის უპირატესობამ 23 ქულა შეადგინა.

ამჯერად, გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო **რომან გონსალესი** გახდა. მან იდეალური სიზუსტე გამოავლინა და 11-დან 9 ბურთი მოათავსა კალათში.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ბრაზილიისა და პუერტო რიკოს შეხვედრაში. ჯგუფში ბრაზილიამ ერთადერთი მატჩი წააგო ამერიკის ნაკრებთან, პუერტო რიკომ კი, აშკარად სუსტი შთაბეჭდილება დატოვა და ბოლო მომენტში გადაასწრო პანამას. მიუხედავად ამისა, მეორე რაუნდის პირველ ტურში პუერტო რიკომ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და 22 ქულით გაანადგურა მეტოქე, რითაც დამატებითი ინტრიგა შესძინა ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირს.

ეჭვგარეშეა, რომ ამერიკა და არგენტინა ნახევარფინალის საგზურებს უპრობლემოდ მოიპოვებენ, მესამე-მეოთხე ადგილებისთვის კი, ერთბაშად ხუთი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. თანაც, ნაკლებად სასურველია მეოთხე ადგილზე გასვლა, ვინაიდან ეს ნახევარფინალში თითქმის 99 პროცენტით ამერიკასთან შეხვედრას ნიშნავს. ასე რომ, ამ წაგებით ბრაზილიამ ძალიან გაირთულა ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსები.

მატჩის ბედი მეოთხე მეოთხედის დასაწყისში გადაწყდა. მესამე 10-წუთიანის მიწურულს, პუერტო რიკო რვა ქულით იყო წინ - 62:54, მაგრამ ამას მოჰყვა მისი 19:2 გაქცევა და როცა ანგარიში 81:56 გახდა, მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.



კარმელო ენტონი

**მეოთხედფინალური რაუნდი**

| | |
|---|---|
| **კანადა-ურუგვაი** | **95:88** |
| 25:18, 23:20, 22:27, 25:23 | |
| **კანადა**: იანგი (22+4 მ), ანდერსონი (13+4 მ+4 პ), დალემბერი (10+5 მ+3 დ), ტომასი (10+4 მ). | |
| **ურუგვაი**: მაზარინო (17), მორალესი (17+4 მ), ბატისტა (16+6 მ), ოსიმანი (10). | |
| **არგენტინა-ვენესუელა** | **98:63** |
| 28:10, 23:24, 28:19, 19:10 | |
| **არგენტინა**: გონსალესი (21), დელფინო (19+11 მ), კინტეროსი (12), სკოლა (10), პრიჯიონი (6+8 პ). **ვენესუელა**: სედენო (15), ბეტელმი (10). | |
| **ბრაზილია-პუერტო რიკო** | **75:97** |
| 13:19, 15:20, 26:26, 21:32 | |
| **ბრაზილია**: ბარბოსა (34+3 პ), სპლიტერი (15+11 მ), ნენე (6+10 მ+3 დ). **პუერტო რიკო**: აიუსო (24), რამოსი (14+6 მ), რივერა (14), რეიესი (12+6 მ), აროიო (11+5 მ+3 პ). | |
| **აშშ-მექსიკა** | **127:100** |
| 45:23, 20:28, 36:27, 26:22 | |
| **აშშ**: ენტონი (28), ბრაიანტი (21), ჯეიმსი (19+5 პ), ჰოვარდი (19), რედი (15), სტაუდმაიერი (12+5 მ). **მექსიკა**: ბეკი (20), მატა (19), დურაზო (19+4 მ+6 პ), ლოს რეიესი (17+7 მ). | |

*სატურნირო მდგომარეობა: 1. აშშ - 8 (4); 2. არგენტინა - 8 (4); 3. ურუგვაი - 6 (4); 4. ბრაზილია - 6 (4); 5. კანადა - 6 (4); 6. პუერტო რიკო - 5 (4); 7. მექსიკა - 5 (4); 8. ვენესუელა - 4 (4).*

## ᲡᲔᲠᲑᲔᲑᲛᲐᲪ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

სერბეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისწინა შეკრება დაასრულა და ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **ზორან სლავნიჩმა** ის 12 კალათბურთელი დაასახელა, რომლებიც ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ. აი ისინიც:

**ფორვარდები**: დრაგან ლაბოვიჩი (ჟელეზნიკი), მილან გუროვიჩი (სოპოტი, პოლონეთი), ნოვიცა ველიჩკოვიჩი (პარტიზანი), ნემანია ალექსანდროვი (ცრვენა ზვეზდა);

**ცენტრები**: დარკო მილიჩიჩი (ორლანდო, NBA), ზორან ერჩეგი (ჟელეზნიკი);

**მცველები**: მილოშ ტეოდოსიჩი (ჟელეზნიკი), ბრანკო ცვეტკოვიჩი (ხირონა, ესპანეთი), ვუკ რადივოევიჩი ("ფუენლაბრადა, ესპანეთი), მარკო იარიჩი (მინესოტა, NBA), მილენკო ტეპიჩი (პარტიზანი), სტეფან მარკოვიჩი (ჰემოფარმი).

ევრობასკეტზე სერბეთის ნაკრები პირველ მატჩს რუსეთის წინააღმდეგ გამართავს.

## ᲞᲐᲚᲐᲡᲘᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲨᲘ

ახალი სეზონის წინ, ბელგრადის "პარტიზანმა" შემადგენლობა NBA-ის ყოფილი კალათბურთელით გააძლიერა. ეს გახლავთ გამთამაშებელი **მილტ პალასიო**, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში "ვანკუვერის", "ბოსტონის", "ფინიქსის", "კლივლენდის", "ტორონტოსა" და "იუტას" ლირსებას იცავდა და ჯამში 470 მატჩი აქვს ჩატარებული.

შარშან, 29 წლის პალასიოს ტრავმის გამო თითქმის არ უთამაშია, 2005-06 წლების სეზონში კი, ის "იუტას" რიგებში საშუალოდ 6.2 ქულასა და 2.7 შედეგიან პასს აკეთებდა.

ვენუსმა სარეკორდო მოწოდება შეასრულა

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ, "ფლაშინგ მიდოუსის" კორტებზე, სტარტი აიღო სეზონის ბოლო სასლემო ტურნირმა - ამერიკის ღია პირველობამ, რომლის პირველივე დღეს, იოლი გამარჯვებები მოიპოვეს მოწინავე განთესილებმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერრმა** და ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**.

ფედერერმა სამ სეტში მოუგო ამერიკელ **სკოვილ ჯენკინსს,** ანენმა კი გერმანელი **ჯულია გორგესის** დასამარცხებლად 62 წუთი იმყოფინა. პირველი ბარიერი იოლად გადალახეს ტურნირის ყოფილმა ჩემპიონებმა, ამერიკელმა დებმა **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა**. ვენუსმა უნგრელ კვალიფიკაციიგამოვლილ **კირა ნადისთან** შეხვედრაში ერთი ეისი 209 კმ/სთ სიჩქარით მოაწოდა, რითაც დიდი სლემის ტურნირების რეკორდი გაიმეორა. შედარებით დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა სერენას, ვინც ასევე ორ სეტში აჯობა გერმანელ **ანგლიკ კერბერს**.

ფედერერს აშკარად ეტყობოდა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა. ამის დასტური თუნდაც ის ფაქტია, რომ თავისი პირველი მოწოდების მხოლოდ 60 პროცენტი მოახვედრა კორტის პერიმეტრში და აქტიურობით მოპოვებული ქულებითაც მცირედით ჩამოიტოვა მეტოქე. სამაგიეროდ, შვეიცარიელი სტაბილური თამაშით გამოირჩეოდა, თითქმის არ უშვებდა შეცდომებს (12 უნებლიე) და ხაზიდანაც ზუსტად თამაშობდა.

*"ვფიქრობ, ჩემთვის მეტად საჭირო მატჩი იყო. ის არც ისე სწრაფად დავამთავრე და, რაც მთავარია, ბურთს ჩვეულად ვგრძნობდი. მეტოქისთვის ბევრი შანსი არ მიმიცია. მან მეტისმეტად ორმაგი შეცდომა დაუშვა და ჩემი ბრეიკ პოინტების დროსაც ხშირად ცდებოდა. სამაგიეროდ, ხაზიდან კარგად თამაშობდა. ჰოდა, როცა მეც ხაზიდან თამაში მიწევდა, ჩემი მთავარი მიზანი შეცდომის არდაშვება იყო"*, - განაცხადა ფედერერმა, ვისაც პირველი თამაშის მოსაგებად 92 წუთი დასჭირდა.

ჯენკინსმა, ვინც ძირითად ტურნირში მონაწილეობის უფლება საკვალიფიკაციო ეტაპზე მოიპოვა, განაცხადა, რომ ფედერერთან სათამაშოდ, კორტზე ფსიქოლოგიურად განადგურებული გავიდა. ის ისე თამაშობს, რომ შეცდომებს გაშვებინებს. თავის შესაძლებლობებს შენს სისუსტეებს შესანიშნავად უსადაგებს და ამით დიდ საქმეს აკეთებსო, - განაცხადა ჯენკინსმა.

კიდევ უფრო უარესი პირველი მოწოდება ჰქონდა ჟუსტინს, ვის მიერ პირველი ცდით შესრულებულ მოწოდებათა მხოლოდ 44 პროცენტი ჩაეშვა კორტის პერიმეტრში. მაგრამ მასაც მეტოქისგან არანაირი პრობლემა არ შექმნია. ნამატჩევს ბელგიელი ჩიოდა, რიტმში შესვლაც კი ვერ შევძელი, რადგან ჩემი მეტოქე მეტისმეტად ხშირად ცდებოდაო.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

# ᲓᲘᲓᲘ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ჟუსტინმა ისიც აღნიშნა, რომ მხრის ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ აქვს, თუმცა ტკივილები თითქმის აღარ აწუხებს. ბელგიელმა განაცხადა, ჩემთვის დიდი სლემის ტურნირებიდან აშშ-ის ღია ყველაზე ძნელად მოსაგებია, რადგან აქაურ კორტებზე თამაშს უზარმაზარი ენერგია მიაქვსო. შეგახსენებთ, რომ მის მიერ დიდი სლემის ტურნირებზ-ე მოპოვებული ექვსი ტიტულიდან ერთი (2003 წელს) სწორედ აშშ-ის ღიაზე მოდის.

მართალია, პირველ დღეს დიდი სენსაცია არ დაფიქსირებულა, მაგრამ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ტურნირს უკვე გამოემშვიდობა ავსტრალიის ღიას ყოფილი ფინალისტი და უიმბლდონის ასევე ყოფილი ნახევარფინალისტი, კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**, ვინც ვერაფერი მოუხერხა ბელარუს **მაქს მირნის**. ტურნირს გამოემშვიდობა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონი, ესპანელი **ხუან კარლოს ფერეროც**, ვინც თანამემამულე **ფელისიანო ლოპესთან** დამარცხდა.

**ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ (ᲐᲨᲨ). ᲞᲐᲠᲚᲘ**

**ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**: 19 653 000 დოლარი

**I ᲬᲠᲔ**

**ᲛᲐᲛᲠᲙᲐᲪᲔᲑᲘ**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:3, 6:2, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ჯეს ლევინე (აშშ) 6:4, 6:0, 6:1; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 9)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:3, 7:6 (0), 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 10)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:7 (5), 7:5, 6:3, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 13)**-სერხიო როიტმანი (არგ) 7:5, 6:1, 6:2; **გილერმო კანიასი (არგ, 14)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:3, 4:6, 7:5, 6:3; **მაქს მირნი (ბელრ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 18) 6:3, 7:5, 3:6, 7:6 (6); **ენდრიუ მარეი (ბრიტ, 19)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:2, 6:3, 6:0; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ხუან კარლოს ფერერო (21, ესპ) 6:3, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-პოლ ანრი მატიო (საფ, 22) 1:6, 6:4, 6:3, 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 26) 6:7 (4), 7:6 (4), 7:6 (5), 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 28)**-ალექს კუზნეცოვი (აშშ) 6:4, 6:0, 7:6 (4); **ჯოლ კაპადევილი (ჩილ)**-რაინერ შუტლერი (გერ) 5:7, 6:3, 6:7 (4), 6:4, 6:3; **ჰიუნგ-ტაიკ ლი (ს. კორ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) 6:7 (4), 6:4, 7:5, 6:7 (6), 6:4; **სებასტიან გროსჟანი (საფ)**-ჯოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:1, 4:1 გოლდსტეინის უარი; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:2, 7:6 (1), 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 (4), 6:3, 6:4; **დონალდ იანგი (აშშ)**-კრის გუიჩონე (ავსტრა) 6:7 (2), 6:3, 6:2, 6:3; **სიმონე ბოლელი (იტა)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:3, 6:4, 3:6, 6:1; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-ხუან პაბლო გუსმანი (არგ) 6:3, 7:6 (4), 6:2; **ჟილ სიმონი (საფ)**-ალექსანდრ ვასკე (გერ) 6:4, 6:1 ვასკეს უარი; **ლუის ორნა (პერ)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრია) 7:6 (4), 6:3, 7:6 (6); **რიკ დე ვოესტი (ს. აფრ)**-ტიერი ასკიონე (საფ) 6:2, 3:0 ასკიონეს უარი; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 2:6, 3:6, 6:4, 6:4, 6:1

**ᲥᲐᲚᲔᲑᲘ**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ჯულია გორგესი (გერ) 6:0, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკ) 6:2, 7:6 (2); **ანა ივანოვიჩი (სერ, 5)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:1, 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-ანგლიკ კერბერი (გერ) 6:3, 7:5; **მარიონ ბარტოლი (საფ, 10)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:1, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 12)**-კირა ნადი (უნგ) 6:2, 6:1; **ელენა დემენტიევა (რუს, 14)**-სტეფანი კოენ-ალორრო (საფ) 6:4, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 15)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:2, 6:3; **აშა როული (აშშ)**-ტატიანა გოლოვინი (საფ, 17) 6:4, 1:6, 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 19)**-ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ) 6:4, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 20)**-ჯესიკა მური (ავსტრა) 6:3, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 21)**-ხისელა დულკო (არგ) 6:4, 6:3; **ვერა დუშევინა (რუს)**-მარა სანტანჯელო (იტა, 25) 6:2, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 27)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 6:0, 6:7 (5), 6:0; **აი სუგიამა (იაპ, 28)**-ანდრეია კლეპაჩი (სლოვენ) 6:3, 6:1; **ალიზ კორნე (საფ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 29) 6:3, 6:2; **იოანა ოლარუ (რუმ)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 7:5, 1:6, 6:4; **მეგან შონესი (აშშ)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 5:7, 6:4; **ელენი დანიილიდუ (საბ)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2, 6:4; **სარა ერანი (იტა)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 7:5, 6:3; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ჯულია შრეფი (გერ) 6:1, 0:6, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-ოდრა კოენი (აშშ) 6:4, 6:1; **ეკატერინა ბიჩკოვა (რუს)**-ჟიანი (ჩინ) 6:2, 6:4; **არავან რეზაი (საფ)**-ხორხელინა კრავერო (არგ) 6:3, 7:5; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0, 7:6 (4); **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-სოფია არავიდსონი (შვედ) 6:3, 2:6, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:3, 7:6 (4); **მარია კამერინი (იტა)**-ტატიანა პუტჩეკი (ბლრ) 6:3, 7:6 (4); **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-ლორენ ალბანეზე (აშშ) 6:0, 6:2; **კარინ ნნაი (იტა)**-იუნგ იან ჩანი (ტაივ) 6:2, 6:0; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ოლგა პუტჩკოვა (რუს) 6:3, 6:4; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 4:6, 6:2, 7:5


**ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲞᲘᲠᲘ**

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ**

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ**
**ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
**ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲣᲠᲘᲫᲔ**
**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲝᲗᲐᲫᲔ**
**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲒᲐᲫᲔ**
**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ**
**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ**
**ᲕᲐᲫᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲖᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲙᲝᲒᲐ ᲮᲐᲢᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲒᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ**

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲒᲝᲗᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ**
**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲫᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**
**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲣᲜᲘᲫᲔ**
**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲯᲘᲐᲫᲔ**

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲕᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲤᲝᲢᲝ
**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ**

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ**

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
**ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲫᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲒᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
**ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ**
**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲒᲐᲪᲘᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**
(დირექტორის მოადგილე),
**ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ,**
**ᲫᲘᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ**

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲣᲠᲘ
**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲜᲯᲐᲠᲘᲐᲜᲘ** (ტ: 46 34 48)
**ᲒᲐᲫᲐᲠ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ** (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**ᲡᲞᲝᲠᲢᲘ**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ** (1949-52, 64-76)
**ᲔᲠᲔᲕᲛ ᲛᲐᲮᲐᲢᲐᲫᲔ** (1952-53)
**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ** (1953-64)
**ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ** (1976-83)
**ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲐ** (1984-85)
**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ** (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ: **ᲨᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲐᲡ Ს�პᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ**

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
**ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10³,**
**0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ**
(ᲫᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
**ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ:** 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (ᲗᲛ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ). 53-39-11
**ᲤᲐᲥᲡᲘ:** +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

**ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ**